საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 77 (879) | სამშაბათი, 10 მაისი, 1994 წელი. | ფასი 5000 კუპონი

ყვავილებით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი

თბილისის გამარჯვების პარკში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ ყვავილებით შეამკო უცნობი ჯარისკაცის საფლავი.

ცერემონიაში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, დედაქალაქის მერი ნიკო ლეკიშვილი, სხვა ოფიციალური პირები.

ედუარდ შევარდნაძე ესაუბრა მსოფლიო პატრიარქს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ყოვლად უწმინდესს, მთავარეპისკოპოსს კონსტანტინეპოლისა, ახალი რომისა და მსოფლიო პატრიარქს, ბართლომე პირველს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს, მათ თანმხლებ პირებს.

შეხვედრის დასაწყისში სახელმწიფოს მეთაურმა მოკლედ მიმოიხილა საქართველოში ამ ბოლო წლებში შექმნილი ვითარება, გაიხსენა საქართველოს ისტორია.

— ჩვენი ისტორია ბრძოლის ისტორიაა და თუ საქართველო გადარჩა, სარწმუნოებამ, ქრისტეს რწმენამ გადაარჩინა. ქრისტემ შთააგონა ქართველებს, რომ მისი რწმენა ერთადერთი ხსნაა, შთააგონა ტოლერანტობა, — თქვა მან.

—ყოვლად უწმინდესმა ბართლომე პირველმა საუბრისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს დიდი ღვაწლი და დამსახურება მიუძღვის ქართველი ერის სულიერი წონასწორობის შენარჩუნებასა და შემსუბუქებაში, მისი აქტიური მოღვაწეობა სრულიად მართლმადიდებელთა შორის, საქართველოს საკეთილდღეოდ, მისი დიდი გავლენა მთელ ქრისტიანულ სამყაროში.

— სირთულე ვაჟკაცების საქმეა, ქართველი ერი კი ვაჟკაცი ერია, მას ბრწყინვალე ისტორია აქვს. დარწმუნებული ვარ, იგი გადალახავს ყველა სირთულეს. ჩვენ ვლოცულობთ და ვილოცებთ თქვენთვის, — ბრძანა საპატიო სტუმარმა. უსურვა საქართველოს პოლიტიკურ და სულიერ ლიდერთა შორის კეთილი, საქმიანი ურთიერთობა.

შეხვედრის ბოლოს საპატიო სტუმარმა სახელმწიფოს მეთაურს მსოფლიო საპატრიარქოსაგან საჩუქრად გადასცა იესო ქრისტეს ხატი და ქართველი მხატვრის მიერ მოხატული სააღდგომო კვერცხები.

ედუარდ შევარდნაძე ესაუბრა ალექსანდრე ცვეტკოვს

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ევროთათბირის მისიის ხელმძღვანელი საქართველოში ალექსანდრე ცვეტკოვი. მან ბატონ ედუარდ შევარდნაძეს გადასცა ევროთათბირის ახლანდელი თავმჯდომარის, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ბენიამინო ანდრეატას წერილი და მადლობა მოახსენა სახელმწიფოს მეთაურს იმ თანადგომისათვის, რომელსაც გრძნობდა საქართველოში ყოფნისას. ამჟამად ბატონ ალექსანდრე ცვეტკოვის, როგორც მისიის ხელმძღვანელის, უფლებამოსილება ამოიწურა და უახლოეს დღეებში იგი დატოვებს საქართველოს.

თავის მხრივ, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა სტუმარს სამშვიდობო პროცესსა და შერეულ საკონტროლო კომისიაში აქტიური მონაწილეობისათვის, რამაც ხელი შეუწყო ცხინვალის რეგიონში სისხლისღვრის შეწყვეტას.

ევროთათბირის ხელმძღვანელობამ გამოთქვა მზადყოფნა მონაწილეობა მიიღოს სამშვიდობო ძალების საქმიანობაში და ხელი შეუწყოს სამშვიდობო კონფერენციის მოწვევას.

ჰუმანიტარული საკითხების შემსწავლელი ბიურო — საქართველოს

პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ჰუმანიტარული საკითხების შემსწავლელი დამოუკიდებელი ბიუროს გენერალურ დირექტორს ზია რიზვის.

როგორც ცნობილია, 1981 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ახალი საერთაშორისო ჰუმანიტარული წესი, შემდეგ წელიწადს კი შეიქმნა საერთაშორისო ჰუმანიტარული საკითხების შემსწავლელი დამოუკიდებელი კომისია, რომლის წევრები გახლდნენ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები. ხსენებული კომისიის რეკომენდაციით შეიქმნა ჰუმანიტარული საკითხების შემსწავლელი დამოუკიდებელი ბიურო, რომლის კომპეტენციაშიც შედის ისეთ აქტუალურ თემებზე ცალკეული გამოცემების გამოქვეყნება და გავრცელება, როგორიცაა შიმშილი, მკვიდრი მოსახლეობისა და ლტოლვილთა პრობლემები, თანამედროვე ომები და სხვ. ბიუროს საქმიანობას შეადგენს იმ ცალკეული თეორიული საკითხებისა და კონკრეტული სიტუაციების შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების გაწევა, რომელთა ჰუმანიტარული მხარეც ყურადსაღებია.

ბატონ ზია რიზვის აზრით, საქართველოს დღისდღეობით ძალიან სჭირდება მსგავსი რეკომენდაციები. გარდა ამისა, სტუმარი დაინტერესდა საქართველოს ეკონომიკური პრობლემებითაც. იგი ადრეც ყოფილა საქართველოში და სახელმწიფოს მეთაურს გადასცა ექსპერტების მიერ მომზადებული ბათუმის ნავსადგურის გაუმჯობესების პროექტი.

სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა მხარს უჭერს ჩვენს ქვეყანაში ნებისმიერი ინვესტიციების დაბანდებას, და მადლობა გადაუხადა ბატონ ზია რიზვის იმ ყურადღებისათვის, რომელსაც საქართველოს მიმართ იჩენს.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო-საქინფორმი.

ოფიციალურ ვიზიტად

ნელსონ მანდელას ინაუგურაციაში მონაწილეობის მისაღებად მაინის ფრანკფურტის გავლით იოჰანესბურგს ოფიციალური ვიზიტად გაემგზავრა საქართველოს პარლამენტის სპიკერი ბატონი ვახტანგ გოგუაძე. აღსანიშნავია, რომ ეს საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლის პირველი ოფიციალური ვიზიტია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

პარლამენტის პრესცენტრი — საქინფორმი.

კაცობრიობას სულიერება გადაარჩენს

ქუთაისი, 7 მაისი. (კილაძე-მარგვშიძე). 7 მაისს საქართველოს უთვალსაჩინოესი კულტურული და მატერიალური ძეგლი — გელათი ყოველთა მართლმადიდებელთა უმთავრეს კათედრად იქცა. აქ ლოცვა აღავლინა საქართველოში სტუმრად მყოფმა კონსტანტინეპოლის — ახალი რომის მთავარეპისკოპოსმა, მსოფლიოს პატრიარქმა ბართლომე პირველმა.

არსებობის ათასწლეულების მანძილზე მრავალი განსაცდელი მოუვლენია განგებამ ქართულ მიწას, მაგრამ ერმა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა ირწმუნა ქრისტეს მცნება, შეძლო გამკლავებოდა საბედისწერო სვე-ბედს. ახლაც სისხლითა და ცრემლით, ტანჯვითა და ვაებით უკვე მერამდენედ იწყება საქართველოს გმირული ისტორიის ახალი ეტაპი.

ამის დასტურია თვით გელათი, დავით აღმაშენებლის მიერ მეთორმეტე საუკუნეში აგებული ეს ძეგლი, რომელმაც შემდგომში „ახალი ათენისა და სხვა იერუსალიმის" მისია შეასრულა, შემდეგ კი, ქართველთა მწარე ბედის გამო, სულიერი და საგანმანათლებლო მოღვაწეობა ჩაქვდა. ეულად იდგა გელათის აკადემიის გაშიშვლებული კედლები, აკადემიისა, სადაც ფილოსოფიას თვით იოანე პეტრიწი ასწავლიდა.

მხოლოდ ამ რამდენიმე წლის წინათ, გალღვა ყინული — მონასტერთან გაიხსნა მეცნიერებათა აკადემიის ფილიალი. მის კედლებში კვლავ გაისმა ლოცვა-კურთხევა.

— ის, რაც ახლა მთელ მსოფლიოში ხდება, სწორედ სულიერი საფუძვლების შერყევის შედეგია. — თქვა თავის ლოცვაში პატრიარქმა — მაღალი რწმენა იხსნის ღვთისმშობლის წილხვედრ ჩვენს მრავალტანჯულ მიწას და მთლიანად სამყაროს.

სტუმარი, რომელსაც თან ახლდნენ საქართველოს პატრიარქი ილია მეორე, ქუთაისის მერი თემურ შაშიაშვილი, საერო სამსახურის სხვა მაღალი ჩინოსნები, შეხვდა ქუთაისის საზოგადოებრიობას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქალაქის წმინდა ნინოს სასწავლებელში, ეწვია ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავ ბაგრატის ტაძარს. გაეცნო აქ მიმდინარე აღდგენით-სარესტავრაციო სამუშაოებს. აკურთხა ადგილი, სადაც ტაძრისა და ქუთაისის მრავალსაუკუნოვანი იუბილეს დღეებში ქართველთა მეფეთმეფის დავითის ბრინჯაოს ქანდაკება უნდა აღიმართოს. დღის ბოლოს ძვირფასი სტუმარი თბილისს დაბრუნდა.

1994 წლის 9 მაისი. თბილისი. გამარჯვების პარკი.

მსოფლიოს პროგრესულმა კაცობრიობამ 9 მაისს ზეიმით აღნიშნა ფაშიზმზე გამარჯვების დღე. საქართველომ თავისი წვლილი შეიტანა ამ დიდ საქმეში. ჩვენმა თანამემამულეებმა ამ ომში გმირობისა და თავდადების მრავალი მაგალითი აჩვენეს. ჩვენი რესპუბლიკიდან წასული 700 ათასზე მეტი მეომრიდან 300 ათასამდე მებრძოლი ვერ დაუბრუნდა სამშობლოს.

ბევრი ომის ვეტერანი დღესაც აქტიურად მონაწილეობს ახალი დემოკრატიული საქართველოს მშენებლობაში, შეიარაღებული ძალების შექმნასა და ჩამოყალიბებაში.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებიდან.

ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წლები ზოგადსაკაცობრიო იდეალებისა და პრინციპებისათვის ბრძოლის წლები იყო

ედუარდ შევარდნაძის 9 მაისის რადიოინტერვიუ

— **დღეს** 9 მაისია, ფაშიზმზე გამარჯვების დღე. სამწუხაროდ, ზოგისათვის ეს დღე მაინც სხვადასხვაგვარად აღიქმება. გაჩნდა აზრიც, რომ ეს არ იყო საქართველოს ომი, რომ ჩვენ ამ ომში არ უნდა გვეომა და ა. შ.. რა შეფასება შეგიძლიათ მისცეთ ამ დღეს 49 წლის შემდეგ? ჟურნალისტ **ნატო ონიანის** ამ შეკითხვით დაიწყო პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ტრადიციული რადიოინტერვიუ.

— მინდა მივესალმო ყველა ვეტერანს, ომის მონაწილეს. ბევრ მათგანს პირადად ვიცნობ. შევეცადე ეს გამეკეთებინა კახეთში, მაგრამ იმდენად გვიან გადაიცა ჩემი კახეთის შეხვედრები, რომ, ალბათ, ყველამ ვერც მოუსმინა. ამიტომ, კიდევ ერთხელ მინდა ვისარგებლო ამ შემთხვევით, მივესალმო იმ წლების გმირებს, რომლებმაც ღირსეულად იცხოვრეს, იბრძოლეს და ახლაც აკეთებენ იმას, რის გაკეთებაც ადამიანს შეუძლია. ბევრ მათგანს დღეს შევხვდები და პირადად მივულოცავ.

რაც შეეხება არაერთგვაროვან დამოკიდებულებას: მე გარკვეული გულისტკივილით აღვიქვი ის, რომ პარლამენტმა ვერ მიიღო დადგენილება, იმის გამო, რომ ზოგიერთ პარლამენტარს სხვაგვარად ესმის ამ წლების მნიშვნელობა და იმ ადამიანების წვლილი საერთო-საკაცობრიო მშვიდობისათვის ბრძოლაში, რომლებიც გმირულად დაეცნენ და მათი წვლილი, რომლებიც ჯერ კიდევ მწყობრში არიან და ჩვენთან ერთად იბრძვიან. ვფიქრობ, ვისაც ეს არ ესმის, ვისაც მიაჩნია, რომ ეს ადამიანები საქართველოსათვის კი არ იბრძოდნენ, არამედ რომელიღაც სხვა ქვეყნის, ანდა სხვა წყობის ინტერესებისათვის, ძალიან ცუდად არიან ჩახედული საქმეში. მიმაჩნია, რომ ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის წლები, და ეს იყო უმძიმესი გამოცდა მრავალი და მრავალი ხალხისათვის, ქვეყნებისა და მთელი პლანეტისათვის, იყო ზოგადსაკაცობრიო იდეალებისა და პრინციპებისათვის ბრძოლის წლები. ხოლო ნამდვილი ეროვნული მოძრაობა ზოგადსაკაცობრიო ტალღას უერთდება. ზოგადსაკაცობრიო აუცილებლად გულისხმობს ეროვნულ მოძრაობათა დემოკრატიულ შენაკადებს. ვისაც არ ესმის, რომ 700 ათასი კაცი პატარა ქვეყნიდან თავის ქვეყანას იცავდა, ამავე დროს თავი შესწირა სხვა ხალხების თავისუფლებას, მათ, მგონია, ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ თვით ეროვნულზე, ეროვნული მოძრაობის არსზე, მის დანიშნულებაზე.

ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, და ეს შეიძლება მაშინაც კი ყველას ასე არ ესმოდა, მაგრამ, მაინც თუნდაც ქვეშეცნეულად, ზოგადსაკაცობრიო ბრძოლა იყო. ისევე როგორც ოთხმოციანი და ოთხმოცდაათიანი წლების პირველი ნახევრის რევოლუციის შთამაგონებელი — სწორედ ზოგადსაკაცობრიო იდეალები გახლდათ. სწორედ ამ რევოლუციამ მოუტანა თავისუფლება ხალხებს, ევროპას, საქართველოს. და არ იქნებოდა ოთხმოციანი წლების რევოლუცია, ეს იგი ის განმათავისუფლებელი რევოლუცია, რომლის ტალღებზეც მოვიდა თავისუფლება და დემოკრატია ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, რომ არა ფაშიზმზე გამარჯვება. ასეთია ეს ლოგიკური ჯაჭვი, რომელსაც ვერსად გაექცევი, და ვისაც ეს არ ესმის, ვფიქრობ, იგი ხერიოზულად ჩამორჩა ცხოვრებას.

ამიტომ, როცა 9 მაისს აღვნიშნავთ, პატივს მივაგებთ იმ ადამიანთა ხსოვნას, ვინც თავი შესწირა ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, ამ იდეალებისათვის ბრძოლას. და, თუ დღეს ვლაპარაკობთ თავისუფალი და დემოკრატიული საქართველოს აღმშენებლობაზე, მიმაჩნია, რომ იმ აგურის გარეშე, რომელიც ამ ადამიანებმა დადეს (მხედველობაში მაქვს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა), საქართველო დამოუკიდებლობას ვერ მოიპოვებდა.

ერთხელ კიდევ მინდა მივმართო ჩვენს სახელოვან ვეტერანებს, ჩვენს მეგობრებს. ამ დღეს გილოცავთ თქვენ და თქვენს ოჯახებს, თქვენს ყველა თანამებრძოლს. ვხედავ თქვენს გატანჯულ სახეებს. თუ, რატომ არის ეს, ახლა, ამაზე ლაპარაკი არ არის. ძალიან მინდა, ჩემო ძვირფასებო, გითხრათ და გამოვთქვა იმის რწმენა, რომ იმედის ნათელი სხივი არ გამქრალიყოს თქვენი თვალებიდან.

მინდა დაგარწმუნოთ, რომ საქართველო მოიშუშებს ჭრილობებს, ტკივილებს და თქვენც სხვა თაობებთან ერთად იცხოვრებთ თავისუფალ, ბედნიერ, დამოუკიდებელ საქართველოში, რომლისთვისაც თქვენ იბრძოდით.

მიმაჩნია, რომ ის ვაჟკაცებიც, რომლებიც საქართველოში მომხდარ ტრაგიკულ კონფლიქტებში დაიღუპნენ, პრინციპში, ფაშიზმის მსხვერპლნი არიან, ჩვენებური პროვინციული ფაშიზმისა. სწორედ ამაშია სათავე შიდა ომებისა, და არავინ არ იცის, როგორ შემობრუნდებოდა საქმე, ჩვენ ის ფუნდამენტი რომ არ გვქონოდა, რომელსაც მაშინდელმა გმირულმა თაობამ ჩაუყარა საფუძველი.

ყველაფერ ამაზე, როგორც მოგახსენეთ, კახეთში ვილაპარაკე. და კიდევ ერთი: იმ გრანდიოზული წლების ერთ-ერთი მონაპოვარი გახლავთ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, უშიშროების საბჭო. ჩვენ არა ვართ აღფრთოვანებული იმ როლით, რომელსაც ახლა ეს ორგანიზაცია ასრულებს, მაგრამ, აბა, წარმოიდგინეთ: ეს ორგანიზაცია რომ არ ყოფილიყო, რა იქნებოდა დღეს ჩვენი პლანეტა?! ამიტომ, მარტო ერთ ასპექტზე ვამახვილებ ყურადღებას. ადამიანებმა, რომლებიც მაშინ იბრძოდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ, იზრუნეს და საფუძველი ჩაუყარეს მომავალი თაობებისათვის მშვიდობიანი ცხოვრების გარკვეულ გარანტიებს.

მადლობა მათ! ნათელი იყოს მათი ხსოვნა, ვინც არ არის ჩვენს რიგებში.

შენი სახელი უცნობია — გმირობა შენი უკვდავი!

შენი სახელი უცნობია — გმირობა შენი უკვდავი! მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ეს სიტყვები აქტუალურია დღევანდელ საქართველოშიც.

8 მაისს თბილისი გამოეთხოვა აფხაზეთში დაღუპულ ექვს უცნობ ჯარისკაცს, რომელთა ნეშტები, აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ ოთხმხრივი კომისიის მორიგების თანახმად, ამას წინათ, საქართველოს მხარეს გადმოეცა.

მხოლოდ ერთის გამოცნობა მოხერხდა, დანარჩენები უცნობებად დარჩნენ...

თბილისის ქაშვეთის საკათედრო ტაძარში, სადაც მათი ცხედრები იყო დასვენებული, მებრძოლთა ხსოვნის პატივსაცემად ათასობით თბილისელი მოვიდა.

რამდენიმე ათეული ქართველი ჭაბუკი უგზო-უკვლოდ დაიკარგა აფხაზეთის ომში. მათმა დედებმა საკუთარი შვილებივით დაიტირეს უცნობი ჯარისკაცები, ისინი დაკრძალეს კუკიის ძმათა სამხედრო სასაფლაოზე.



სურათზე: ეთხოვებიან აფხაზეთში დაღუპულ უცნობ ჯარისკაცებს.

გიორგი ცაგარლის ფოტო.

ექლვნება

გამარჯვების დღეს

8 მაისს საქართველოში დისლოცირებული რუსეთის ჯარების შტაბს ეწვია საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე. მან მონაწილეობა მიიღო ფაშიზმზე გამარჯვების 49 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში. შეხვედრის მონაწილეებმა პატივი მიაგეს დაღუპულთა ხსოვნას, მიესალმნენ სამამულო ომის ვეტერანებს.

ედუარდ შევარდნაძესთან ერთად შტაბში იყვნენ პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, თავდაცვის მინისტრი ვარდენ ნადიბაიძე, სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

ერთობლივი ლიტურგია

8 მაისს სიონის საკათედრო ტაძარში ერთობლივი ლიტურგია აღასრულეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ და კონსტანტინეპოლისა და ახალი რომის არქიეპისკოპოსმა, ეკუმენიკურმა პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ბართლომე პირველმა.

პაოლო იაშვილი 100 წლისაა

წლევანდელი წლის ივნისში აღინიშნება ცნობილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის პაოლო იაშვილის დაბადების 100 წლისთავი. ამ თარიღს ეძღვნება გამოფენა, რომელიც საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა. აქ წარმოდგენილია ფოტოდოკუმენტები, ლიტერატურა პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, ქართულ და რუსულ ენებზე გამოცემული მისი წიგნები, თანამედროვეთა მოგონებები. მნახველთა ყურადღებას იპყრობს მასალები პოეტის პარიზში ყოფნის შესახებ, სადაც იგი ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ გაემგზავრა და სადაც სწავლობდა ფერწერას ლუვრთან არსებულ ხელოვნების ინსტიტუტში. 1915 წლის დამლევს პაოლო იაშვილმა სხვებთან ერთად დააარსა ქართველ სიმბოლისტთა ლიტერატურული ჯგუფი „ცისფერყანწელები", დაიწყო იმავე სახელწოდების ჟურნალის გამოცემა. მისი ცხოვრების ამ პერიოდსაც დაწვრილებით აშუქებენ აქ წარმოდგენილი მასალები.

ცალკე ადგილი ეთმობა 1921 წლის შემდგომ პერიოდს, როცა მის შემოქმედებაში თავი იჩინა რეალისტურმა ტენდენციამ, რომელმაც შემდგომში განაპირობა კიდეც მის ნაწარმოებთა მაღალი მოქალაქეობრიობა. ეს არის ლექსთა ციკლი „ახალი კოლხეთი", ლექსები „პოეზია", „თბილისი", „პოეტის საქმე", „ოფორტი", „ნიკო ლორთქიფანიძე", „მარიამ წერეთელი" და სხვები. ისინიც გამოტანილია გამოფენაზე. პაოლო იაშვილმა თარგმნა ა. პუშკინის, შ. ბოდლერის, ა. რემბოს, ო. უაილდის ბევრი ნაწარმოები, ბევრი ლექსი მიუძღვნა ხალხთა მეგობრობას. აქვეა საბავშვო ლექსები, სტატიები, რომლებიც ეძღვნება ქართული პოეზიის, მთლიანად ქართული ლიტერატურის განვითარებას.

შეხვედრა პარლამენტარებთან

რესპუბლიკაში დღეს სახურსათო კალათა 14 მილიონს ფასობს, მაშინ როცა მოსახლეობის მინიმალური ხელფასი და საპენსიო ოდენობა რაღაც ათეულ ათას კუპონს არ აღემატება. ხალხი მიხულია სიღატაკემდე. ხანდაზმულთა საპენსიო უზრუნველსაყოფად 4 ტრილიონი კუპონია საჭირო. რა თანხებით უნდა დაფინანსდეს ეს საქმე — გაურკვეველია. საზოგადოების რიგ ფენებში კი მიმდინარეობს დაგროვილი სიმდიდრის გადანაწილება. ასეთია დღეს საქართველოს ეკონომიკურ-სოციალური ვითარება.

ეს საჭირბოროტო საკითხი გახდა მსჯელობის საგნად პროფესიული კავშირების გაერთიანებაში პარლამენტის წევრებთან შეხვედრისას. მოწვეულმა სტუმრებმა, დარგობრივი პროფკავშირების ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა ერთიანი ძალისხმევით გააანალიზონ შექმნილი სიტუაცია. მათ ილაპარაკეს იმაზე, რომ თუ არ მოხდა ეროვნული სიმდიდრის მატება, არ მოგვარდება სოციალური პრობლემები. ამისათვის კი აუცილებელია დამკვიდრდეს ეროვნული თანხმობა, სახელმწიფოში წესრიგის დამყარება.

შეხვედრის მონაწილეებმა დასვეს სახელმწიფო მოწყობის იდეოლოგიის შემუშავების აუცილებლობის საკითხი, ხალხმა უნდა იცოდეს როგორ სახელმწიფოს აშენებს, გათვალისწინებულ იქნეს აღმშენებლობის სტრატეგია, განისაზღვროს, თუ რა გზით უნდა წავიდეს ქვეყანა აღმშენებლობის გზაზე. ამისათვის საქართველოს პარლამენტმა უნდა აიღოს გეზი, პროფესიული კავშირები კი ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რათა მათთან ერთად გადაწყვიტონ მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის საკითხები.

ყურადღება გაამახვილეს აგრეთვე ეკონომიკური მართვის პროცესების რეგულირებისას მოსახლეობის პროდუქტებით უზრუნველსაყოფად საბარათო სისტემაზე.

შეხვედრაზე გამოვიდნენ პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე ირაკლი ტუღუში, თავმჯდომარის მოადგილეები სიკო გეგიაძე, მამუკა კაციტაძე, პარლამენტარები ბაკურ გულუა, თედო პაატაშვილი, თემურ კოპალეიშვილი, ფინანსთა მინისტრის მოადგილე რომან ქუსიტაშვილი, პარლამენტის სოციალური კომისიის თავმჯდომარე ზაზა სიხარულიძე და სხვები.

მერვე სვეტი

„იბერიის" ლენტიდან

აფხაზეთის სვანეთი. საგრძნობლად გაუმჯობესდა სამხედრო-ოპერატიული ვითარება დალის ხეობაში. ქართველთა პოზიციები გამაგრებულია, გაგზავნილია დამატებითი ძალები. ადგილობრივ მცხოვრებლებს მიემატნენ მებრძოლები საქართველოს რესპუბლიკის ყველა კუთხიდან. რამდენიმე დღის განმავლობაში აფხაზეთის სვანეთში იმყოფებოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე აკაკი გასვიანი.

სოჭი. 11-12 მაისს ქ. სოჭში გაიმართება აფხაზეთის რეგიონში ლტოლვილთა დაბრუნების ოთხმხრივი (გაერო, რუსეთის ფედერაცია, საქართველოს რესპუბლიკა, აფხაზთა მხარე) კომისიის მორიგი სხდომა. მხარეებმა უნდა განიხილონ ყველაზე რთული საკითხი — ლტოლვილთა ფილტრაციის წესი.

საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ თენგიზ შარმაზანაშვილმა „იბერიის" კორესპონდენტს განუცხადა, რომ მოლაპარაკება ძალზე რთული იქნება, რადგან აფხაზთა მხარეს არ სურს ამ საკითხთან დაკავშირებით კომპრომისზე წასვლა.

თბილისი. აფხაზეთში ქართველთა გენოციდის ფაქტების დამდგენი კომისია აცხადებს, რომ აფხაზთა მხარის წარმომადგენლები ლაკერბაია და კაფბა, რომლებიც სოჭში მოლაპარაკებას აწარმოებენ აფხაზეთის რეგიონში ლტოლვილთა დაბრუნების თაობაზე, სახელმწიფო დამნაშავენი არიან და ბრალი მიუძღვით ქართველთა გენოციდში.

თბილისი. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას გააჩნია 22 ვიდეოკასეტა, რომლებზეც აფხაზ სეპარატისტთა მიერ ქართველთა გენოციდის ფაქტებია აღბეჭდილი. ეს ვიდეომასალა უახლოეს ხანებში გადაეცემა საქართველოს ტელევიზიას.

სოხუმი. აფხაზთა მხარის ერთ-ერთმა ლიდერმა სოკრატ ჯინჯოლიამ განაცხადა, რომ 4 აპრილის შეთანხმებით საქართველოს რესპუბლიკამ ფაქტობრივად აღიარა აფხაზეთის დამოუკიდებლობა.

სოხუმი. ამჟამად აფხაზეთის რეგიონის ტერიტორიაზე, კერძოდ — გალისა და ოჩამჩირის რაიონებში მოქმედებენ ქართული პარტიზანული რაზმები, რომლებმაც ბოლო ხანებში გაანადგურეს აფხაზთა მხარის რამდენიმე ათეული მებრძოლი.

თბილისი. საქართველოს სახალხო ფრონტი აფხაზეთის პრობლემის გადასაწყვეტად მოითხოვს სამთავრობო კომიტეტის შექმნას, რომელსაც უნდა დაექვემდებაროს ამ პრობლემასთან დაკავშირებული ყველა საკითხი.

თბილისი. საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა თამაზ ნადარეიშვილმა განაცხადა, რომ აფხაზეთის ომის განმავლობაში სულ დაიღუპა 30.000 (ოცდაათი ათასი) ქართველი.

მოსკოვი. მოსკოვში მყოფმა აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა სერგეი შამბამ განაცხადა, რომ თუ საქართველო ან სხვა რომელიმე სახელმწიფო (იგულისხმება რუსეთი), თუნდაც მშვიდობის დამყარების საბაბით შეეცდება აფხაზეთის ოკუპირებას, ჩრდილოკავკასიელი ხალხები აღსდგებიან ამ სახელმწიფოს წინააღმდეგ.

რუსეთის ეკრანებზე რევაზ ჩხეიძის ფილმებს აჩვენებენ

მოსკოვის კინოთეატრებსა და რუსეთის დედაქალაქის ხანჟონკოვის სახლში დაიწყო ცნობილი ქართველი კინორეჟისორის რევაზ ჩხეიძის ფილმების რეტროსპექტრული ჩვენება, იგი გაიხსნა 9 მაისს ფილმის „ჯარისკაცის მამის" ჩვენებით. მისი ეკრანზე გამოსვლიდან 30 წელი შესრულდა. იმავდროულად სანქტ-პეტერბურგის ეკრანებზე დაიწყო რევაზ ჩხეიძის ფილმების დეკადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მევენახენი თათბირობენ თელავში

7 მაისს მევენახეთა რესპუბლიკურ თათბირში მონაწილეობის მისაღებად თელავში ჩავიდნენ პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე, პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, ვიცე-პრემიერი ავთანდილ მარგიანი, რესპუბლიკის ხელმძღვანელი მუშაკები და რაიონის გამგებლები.

მუშაობის ძველი ფორმები მოძველებულია, ამიტომ, საქართველოს ხელისუფლება მზად არის მიიღოს ყველაზე გაბედული საქმიანი წინადადებები, — განაცხადა თათბირის დაწყებისას სახელმწიფოს მეთაურმა.

დღეისათვის ფაქტობრივად განადგურებული ვენახის აღორძინება, ქართველი გლეხის დაინტერესება და მისი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, რაც ქვეყნის გაძლიერების ერთ-ერთი საწინდარია, — ასეთი იყო თათბირის მუშაობის ძირითადი მიზანი.

ღვინო და ყურძენი ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქტებია. ვენახის მოვლა დიდ შრომასთან არის დაკავშირებული, სახელმწიფოსთვის ყურძნის ჩაბარებისას კი ანაზღაურება იმდენად მცირეა, რომ გლეხი იძულებულია მამულში ვაზი აჩეხოს და ვენახის ნაცვლად სოფლის მეურნეობის სხვა კულტურების მოვლა-გაშენებას მიჰყოს ხელი. ამიტომ, რაიონის ხელმძღვანელებმა დასვეს ნაწილობრივ ნატურით ანაზღაურებისა და ყურძნის ფასების გაზრდის საკითხი.

ვიცე-პრემიერმა ავთანდილ მარგიანმა ილაპარაკა მევენახეობა-მეღვინეობის დარგში შექმნილ კრიზისულ მდგომარეობაზე, აღნიშნა, რომ ნაჩქარევი პრივატიზაცია დამღუპველი აღმოჩნდა ვენახებისთვის, მოშრავლდა ვაზის ამოძირკვის შემთხვევები. მისი აზრით, თუ ასე გაგრძელდა, ახლო მომავალში დარგის მდგომარეობა კონტროლს ვეღარ დაექვემდებარება.

სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრმა გიორგი კვესიტაძემ კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მევენახეობა-მეღვინეობის სახელმწიფო პროგრამის შემუშავება დაასახელა. შეეხო რა კვოტების განაწილების პრობლემას, ბატონმა კვესიტაძემ დასვა დიფერენცირების საკითხი. როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრმა თქვა, უწინარესად საჭიროა შესრულდეს სახელმწიფო კვოტები.

რაიონის გამგებელთა აზრით, დადებითი შედეგი მოჰყვა მეურნეობების და ღვინის ქარხნების გაერთიანებას. ტექნიკის უქონლობისა და შესაწამლ საშუალებათა სიძვირის გამო, განკერძოებული მიწების სერიოზული ნაწილი დაუმუშავებელია. ამიტომ, ხშირად მეურნეობები მიწას იჯარით იღებენ მოსახლეობისაგან. მოწეული მოსავლის გარკვეულ ნაწილს ნატურის სახით მოსახლეობას უბრუნებენ.

შეეხნენ რა კრედიტების განაწილების საკითხს, რაიონის გამგებლებმა მოითხოვეს სოფლის მეურნეობის დარგების, კერძოდ, მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებისათვის მეტი კრედიტების გამოყოფა. აღინიშნა, რომ, სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა გამოყოფილი კრედიტები დანიშნულების ადგილს ვერ აღწევს, მათი განაწილება კი გაურკვეველი პრინციპებით ხდება.

მევენახეობის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია იურიდიული ბაზის უქონლობა. დღემდე არ არის მიღებული კანონები მიწისა და მიწის გადასახადის შესახებ, თათბირის მონაწილეებმა მოითხოვეს, რომ სასწრაფოდ გამოიცეს დეკრეტი აღნიშნულ საკითხებზე.

დღევანდელი შეხვედრის მიზანი ვაზის გადარჩენაა. ამისათვის გაბედული მოქმედებაა აუცილებელი. ნუ შეგვაშინებს ექსპერიმენტები. მთავარია ეს ექსპერიმენტები საქმიანი იყოს, — აღნიშნა მუშაობის შემაჯამებელ სიტყვაში ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ.

სახელმწიფოს მეთაურმა დამსწრე საზოგადოებას შესთავაზა ფირმების შექმნა, რომლებშიც სასურველია გაერთიანდნენ მეურნეობა, ღვინის ქარხანა და გლეხი. რაც შეეხება ანაზღაურების საკითხს, მისი აზრით, ამ ეტაპზე გამოსავალი ნაწილობრივ ნატურით ანაზღაურებაა.

შევარდნაძეს სამანეთო ზონაში შესვლის კონკრეტული გადაწყვეტილება თათბირის მონაწილეებისათვის არ შეუთავაზებია. სამანეთო ზონაში შესვლას თავისი დადებითი, მაგრამ ამავე დროს, სერიოზული უარყოფითი მხარეებიც აქვს, ამიტომ, ამ საკითხის გადაწყვეტისას აჩქარება არ შეიძლება, — თქვა პარლამენტის თავმჯდომარემ.

სახელმწიფოს მეთაურმა ლიცენზირების ინსტიტუტს დაკნინებული უწოდა. როგორც მან თქვა, ლიცენზიების გაცემის დროს ბევრი ბოროტებაა ჩადენილი, ამიტომ, აუცილებელია ამ საკითხის შესწავლა.

და კიდევ, თათბირის მუშაობის დროს ერთმნიშვნელოვნად გამოიკვეთა, რომ ნგრევის პროცესი საქართველოში უნდა დამთავრდეს. პოლიტიკოსთა შორის გაძლიერებულმა პოპულისტურმა და ამბიციურმა განწყობილებამ ქვეყანას ზიანის მეტი არაფერი მოუტანა. ახლა მთავარია, რომ ერი გამთლიანდეს, ქვეყანაში წესრიგი დამყარდეს და ადამიანებს შრომის ნორმალური პირობები მიეცეთ.

მშრომელი კაცი, მევენახე იქნება იგი თუ მეჩაიე, ხელისუფლებისა და მთავრობისაგან იმ მინიმალური პირობების შექმნას მოითხოვს, რომლებიც აუცილებელია მუშაობის დაწყებისათვის.

თამარ მოლაშვილი,
გურამ სოზაშვილი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
განკარგულება
გ. ხუჯაძისათვის იუსტიციის სახელმწიფო მრჩევლის სპეციალური წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის მოადგილეს **გოდერძი ხუჯაძეს** იუსტიციის სახელმწიფო მრჩევლის სპეციალური წოდება.

ე. შევარდნაძე.

თბილისი, 1994 წლის 8 მაისი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
განკარგულება
ა. ტალიაშვილისათვის იუსტიციის სახელმწიფო მრჩევლის სპეციალური წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის მოადგილეს იუსტიციის მრჩეველს **ალექსანდრე ტალიაშვილს** იუსტიციის სახელმწიფო მრჩევლის სპეციალური წოდება.

ე. შევარდნაძე.

თბილისი, 1994 წლის 8 მაისი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
განკარგულება
ტ. კულულაშვილისათვის იუსტიციის სახელმწიფო მრჩევლის სპეციალური წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის პირველ მოადგილეს **ტარიელ კულულაშვილს** იუსტიციის სახელმწიფო მრჩევლის სპეციალური წოდება.

ე. შევარდნაძე.

თბილისი, 1994 წლის 8 მაისი.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება
საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით მე-15 მუხლის გარეშე.
2. დაევალოს საქართველოს პარლამენტის წევრს **ოთარ მელქაძეს** სხდომაზე გამოთქმულ შენიშვნათა გათვალისწინებით რეგლამენტის მე-15 მუხლის რამდენიმე ვარიანტი წარმოუდგინოს პარლამენტს ორი კვირის ვადაში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1994 წლის 5 მაისი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება
უფროს ლეიტენანტ თ. ბაქრაძის ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოჩენილი მამაცობისა და გაბედული მოქმედებისათვის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის რეჟისორი უფროსი ლეიტენანტი **თეიმურაზ ბაქრაძე** დაჯილდოვდეს ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენით.

ე. შევარდნაძე.

თბილისი, 29 აპრილი, 1994 წელი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება
კაპიტან თ. რუხაიას მედლით „მხედრული მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ (სიკვდილის შემდეგ)

სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი პირადი მამაცობისა და გაბედული მოქმედებისათვის საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამძებრო სამმართველოს ინსპექტორი, კაპიტანი **თამაზ რუხაია** დაჯილდოვდეს მედლით „მხედრული მამაცობისათვის" (სიკვდილის შემდეგ).

ე. შევარდნაძე.

თბილისი, 29 აპრილი, 1994 წელი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება
საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეების ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ (სიკვდილის შემდეგ)

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირვისათვის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მეთერთმეტე ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეები დაჯილდოვდნენ ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის ორდენით (სიკვდილის შემდეგ):

ირაკლი დვალიძე — ლეიტენანტი, ლაზარეთის ექიმი-ანესთეზიოლოგი;

ლევან მაჭავარიანი — ლეიტენანტი, სატანკო ბატალიონის სამედიცინო სამსახურის უფროსი.

ე. შევარდნაძე.

თბილისი, 29 აპრილი, 1994 წელი.

მაშველთა კორპუსის — „მხედრიონის" საგანგებო შეკრება

7 მაისს თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართა საქართველოს მაშველთა კორპუსის — „მხედრიონის" საგანგებო შეკრება. შეკრებაზე სიტყვა წარმოთქვა ბატონმა ჯაბა იოსელიანმა. მან განაცხადა, რომ მაშველთა კორპუსის იარაღი უნდა გადაეცეს თავდაცვის სამინისტროს. ავტომატური იარაღი, რომელიც მაშველთა კორპუსის საკუთრებაა, უნდა შეინახონ პირამიდის სისტემის საცავში და მკაცრად იქნება დაცული. რაც შეეხება მცირე ზომის იარაღს, მაშველთა კორპუსის 300 წევრს ეძლევა უფლება ატაროს იგი. შესაბამისი ნუსხა გადაეცემა შინაგან საქმეთა სამინისტროს.

ბატონმა ჯაბა [illegible] ისაუბრა სამომავლო [illegible] გეგმებზე. მან აღნიშნა [illegible] შეიქმნება საგაზაფხულო [illegible] საზამთრო რაზმები. უცხოეთში გაიგზავნება მოსამზადებელი ჯგუფები. ამერიკიდან დასახმარებლად ჩამოვლენ ინსტრუქტორები, რამდენიმე ათეული კაცი გაიგზავნება სამტრედიის ბაზაზე სავარჯიშოდ.

„მხედრიონის" იმ წევრებს, ვისაც მუშაობა სურს, ხელს შევუწყობთ, — განაცხადა ბატონმა ჯაბა იოსელიანმა. — აუცილებლად დავეხმარებით დაღუპულთა ოჯახებს. მან ისაუბრა მომავალ დღესასწაულზე, რომელიც 26 მაისს გაიმართება და მასში აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას საქართველოს მაშველთა კორპუსი.

დარბაზმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგო დაღუპულ მხედრიონელთა ხსოვნას.

შეკრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს მაშველთა კორპუსის თავმჯდომარემ გიგა გელაშვილმა, რომელმაც რეგიონების მეთაურებს მკაცრად მოთხოვა, დაასაქმონ მათი წევრები. ბატონმა გიგა გელაშვილმა აღნიშნა, რომ თანდათან ყალიბდება მაშველთა კორპუსის სტრუქტურები, მაგრამ აუცილებელია კადრებით მათი შევსება, ასევე მკაცრად დაისვა საკითხი იარაღის ტარების შესახებ.

საგანგებო შეკრებაზე გამოვიდა მაშველთა კორპუსის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლონგი ქელიძე, რომელმაც მიმართა მეთაურებს, დაუკავშირდნენ რაიონის გამგებლებს დაუსაქმებელი მხედრიონელებისათვის სამსახურის შესარჩევად. მან განაცხადა, რომ უნდა მოხდეს დაღუპულ მხედრიონელთა აღრიცხვა.

შეკრებაზე გამოსულმა მაშველთა კორპუსის პრეზიდიუმის წევრმა გიგა არველაძემ მაშველთა კორპუსის წევრებს მოუწოდა, ჩაებან საქველმოქმედო საქმიანობაში, და ყველამ ერთად აკეთოს ქვეყნისა და ერისათვის სასიკეთო საქმე.

მაშველთა კორპუსის პრესსამსახური.

ქართული კუპონის გადარჩენის კიდევ ერთი ცდა

მიმდინარე წლის ოთხი თვის მანძილზე საქართველოს ეროვნულ ბანკს არც ერთხელ არ მიუცია შეღავათიანი კრედიტები. გამონაკლისს, როგორც საქინფორმის კორესპონდენტს თენგიზ ჩხიკვაძეს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა მარლენ გიორგაძემ უთხრა, წარმოადგენს მხოლოდ ერთპროცენტიანი კრედიტი 14 ტრილიონი კუპონის ოდენობით. რესპუბლიკის პარლამენტის გადაწყვეტილებით ამით უზრუნველყოფილი იყო მეორე კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტი. ვიცე-პრეზიდენტის აზრით, ამგვარი აქცია, ხელს უწყობს ბიუჯეტის დაფინანსებას და ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეაჩერებს კუპონის ჰიპერინფლაციის პროცესს, კუპონის შემოღების მომენტიდან.

— შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი, — თქვა მ. გიორგაძემ, — მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გამოვნახოთ, თუ ამოქმედდება რესპუბლიკაში არსებული სამრეწველო საწარმოები და სოფლის მეურნეობის ობიექტები. ამისათვის კი საჭიროა ისინი უზრუნველყოფილი იყვნენ ნედლეულით. ამავე დროს, საქართველოს სახელმწიფომ და მოსახლეობამ უნდა დაფარონ ენერგეტიკის (საქენერგოს) და გაზის დეპარტამენტების დავალიანება. ყოველივე ეს იქნება ქართული კუპონის დასაქონლების პროცესის დაწყების საფუძველი, თორემ არაუგვიანეს წლის დამლევისა, იგი რესპუბლიკის ეკონომიკის უსარგებლო ატრიბუტად იქცევა.

რაც შეეხება მრავალპროცენტიან კრედიტებს, სადღეისოდ ეროვნულმა ბანკმა რესპუბლიკის კომერციული ბანკები უზრუნველყო 712 პროცენტიანი კრედიტით 30 მილიარდი კუპონის ოდენობით ოთხი თვის ვადით. ეს კრედიტები, მიაჩნია მ. გიორგაძეს, იმისათვის გაიცა, რომ სამომხმარებლო ბაზარზე დაფიქსირებულიყო მათი რეალური ღირებულება. შემდეგ შეიძლება ვიქონიოთ იმედი, რომ ფასები ბაზარზე ბოლოს და ბოლოს მოწესრიგდება.

რაც შეეხება ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის შალვა ფიჩხაძის ამასწინანდელ დაპატიმრებას, მ. გიორგაძემ განმარტა:

— ჩვენს ოფიციალურ შეკითხვაზე საქართველოს სამართალდამცავი ორგანოებისადმი, რომელიც შ. ფიჩხაძის შემდგომ ბედს ეხებოდა, მათ გვიპასუხეს, რომ იგი დაპატიმრებულია მუშაობაში გულგრილობისათვის.

აფხაზეთის დაბრუნება მთელი საქართველოს საქმეა

7-9 მაისს თბილისში, გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის შენობაში გაიმართა აფხაზეთიდან ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა ყრილობა, რომლის მოწყობის ინიციატორი იყო აფხაზეთის განთავისუფლების ორგანიზაცია. ყრილობის გახსნისას ამ ორგანიზაციის თავმჯდომარემ, საქართველოს პარლამენტის წევრმა ბორის კაკუბავამ განაცხადა, რომ ყრილობის მუშაობის მიზანი უნდა იყოს მთელი ძალების კონსოლიდაცია და აფხაზეთის დაბრუნების სტრატეგიული კურსის შემუშავება. „ჩვენ უნდა დავბრუნდეთ იქ იმავე გზით, რა გზითაც იქიდან გამოგვაძევეს, და რის მიღწევაც შეუძლებელია მოლაპარაკების გზით, რასაც წინა მოლაპარაკებათა სავალალო შედეგები ადასტურებს, თქვა ბ. კაკუბავამ. ამასთანავე გამოითქვა კრიტიკული შენიშვნები საქართველოს ხელმძღვანელობის, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს მიმართ, რომელიც თბილისში ფუნქციონირებს. ხაზგასმით აღინიშნა, რომ, თუ არ იქნება ხელისუფალთა მხარდაჭერა, ყველა გეგმა განუხორციელებელი დარჩება. მწვავედ გააკრიტიკეს ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებაზე საქართველოს დელეგაციის საქმიანობა და წამოაყენეს მოთხოვნა, რომ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღონ აფხაზეთის დევნილი მოსახლეობის წარმომადგენლებმა.

ყრილობაზე გამოვიდნენ საქართველოს ვიცე-პრემიერი თამაზ ნადარეიშვილი, საქართველოს მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, პარლამენტის წევრი გია ბარამიძე, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ერქვანია, პარლამენტის წევრები ნოდარ ნათაძე, ირაკლი მელაშვილი, ირინა სარიშვილი, მწერალი აკაკი ბაქრაძე, აფხაზეთის ტელერადიოკომპანიის თავმჯდომარე ლონდერ ცაავა, ყრილობის დელეგატები, პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

მუშაობის ბოლო დღეს ყრილობამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც არადამაკმაყოფილებლად შეაფასა თბილისში მომუშავე აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს საქმიანობა და მოითხოვა მისი მთელი შემადგენლობით გადადგომა და ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ახალი თავმჯდომარის დანიშვნა, რომელსაც დაევალება აფხაზეთის მთავრობის შექმნა.

ყრილობამ საქართველოს პარლამენტს მოსთხოვა ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებაზე დადებული ყველა შეთანხმების დეზავუირება, უნდობლობა გამოუცხადა მოლაპარაკების მონაწილე საქართველოს დელეგაციას.

ყრილობამ მიიღო მიმართვა საქართველოს მეომრებისა და ქართველი ხალხისადმი, რომელშიც მოუწოდა მათ გააერთიანონ ძალისხმევა აფხაზეთის დაბრუნებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის. მიღებული იყო აგრეთვე მიმართვა გაეროს გენერალური მდივნის ბუტროს გალისადმი.

ყრილობაზე დაამტკიცეს აფხაზეთის განთავისუფლების კავშირის დებულება, რომლის თანახმად კავშირი გამოხატავს აფხაზეთის გამოძევებული მოსახლეობის ინტერესებს, წარმოადგენს გასამხედროებულ პოლიტიკურ ორგანიზაციას და მიზნად ისახავს მაქსიმალურად მოკლე ვადაში აფხაზეთში დაბრუნებას. აირჩიეს ამ კავშირის საბჭო. თავმჯდომარედ ღია კენჭისყრით ყრილობაზე ერთხმად იქნა არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრი ბორის კაკუბავა.

გოჩა აგლოთია,
საქინფორმის კორ.

საიუბილეო დღეები დატვირთული იქნება

ქართველი ერის სულიერებისა და განათლების სფეროში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადგილი იმთავითვე განსაზღვრული იყო. მრავალგზის უკისრია მას ფლაგმანის როლი ერის თავისუფლებისათვის ბრძოლაში. დღესაც უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება მას ქვეყნის მიმართ, ქვეყნისა, რომელმაც დამოუკიდებლობის სიტკბოს გემო გაუსინჯა და სახელმწიფოებრივი მშენებლობაც წინანდელისაგან განსხვავებულ, თავისუფლების ვითარებაში დაიწყო.

წლეულს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავისი დაარსებიდან 75-ე წლისთავს აღნიშნავს. სწორედ ამ ფაქტის გამო, ამ დღეებში, მოეწყო ჟურნალისტების შეხვედრა უნივერსიტეტის საიუბილეო კომისიის წევრებთან. შეხვედრაზე საიუბილეო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა ისაუბრა საიუბილეო კომისიის საქმიანობის შესახებ და აღნიშნა, რომ საქართველოში შექმნილი მძიმე ვითარების გამო, იუბილე ვერ იქნება ისეთი გრანდიოზული, როგორც უნივერსიტეტს ეკადრება, თუმცა, ცხადია, არც საზეიმო განწყობის გარეშე შეიძლება. საიუბილეო დღეები დაიწყება 22 მაისს და 27 მაისამდე გასტანს.

იუბილეს პირველ დღეს გაიხსნება ქართველოლოგიური სიმპოზიუმი, შემდეგ მოეწყობა იურისტთა საერთაშორისო კონფერენცია, დაიდება ხელშეკრულებები თბილისის უნივერსიტეტსა და საზღვარგარეთის წამყვან უნივერსიტეტებს შორის. საიუბილეო დღეების პროგრამა მეტად დატვირთული და საქმიანია.

ეკა ლეჟავა.

როდის დამთავრდება სასწავლო წელი?

ტრადიციულად უკანასკნელი ზარი საშუალო სკოლებში მაისის ბოლოს აწკრიალდებოდა ხოლმე. ეს ტრადიცია, როგორც ბევრი სხვა, ჩვენი მძიმე ყოფის, ომის გამო ამ ბოლო წლებში დაირღვა...

ქვეყანაში შექმნილი რთული ვითარება გახდა იმის მიზეზი, რომ მრავალი ქალაქისა და რაიონის სკოლებში სასწავლო პროცესი არასტაბილურად წარიმართა. ამან ხელი შეუშალა მოსწავლეებს გეგმით გათვალისწინებული პროგრამული მასალა მთლიანად აეთვისებინათ. ამასთან დაკავშირებით განათლების მინისტრმა გამოსცა ბრძანება 1993-1994 სასწავლო წლის დამთავრებისა და მისაღები და გამოსაშვები გამოცდების ორგანიზების შესახებ:

იმ სკოლებში, სადაც მეცადინეობა სტაბილურად მიმდინარეობდა, სასწავლო პროცესი დამთავრდება: პირველ კლასში — 25 მაისს, ხოლო დანარჩენ კლასებში — 10 ივნისს. იმ სკოლებში კი, სადაც ცნობილი მიზეზების გამო, გარკვეულ პერიოდში შეწყვეტილი იყო მეცადინეობა, სასწავლო წელი დამთავრდება პირველ კლასში — 4, ხოლო დანარჩენ კლასებში — 18 ივნისს.

საშუალო სკოლებში, სადაც მეცადინეობა არ გაცდენილა, გამოსაშვები გამოცდები უნდა გაიმართოს 15-25 ივნისს, ხოლო დანარჩენ სკოლებში — 22 ივნისიდან 1 ივლისის ჩათვლით.

წლეულს საშუალო სკოლის გამოსაშვები გამოცდები გაიმართება შემდეგ საგნებში: მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში — წერა-ზეპირი, ალგებრასა და ანალიზის საწყისებში — წერითი, საქართველოს ისტორიაში — ზეპირი. წერითი გამოსაშვები გამოცდები ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უნდა გაიმართოს ერთ დღეს — 22 ივნისს მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, 25 ივნისს კი — ალგებრასა და ანალიზის საწყისებში. საგამოცდო მასალები გადაიცემა საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს პირველი პროგრამებით გამოცდის დღეს, დილის 8 საათსა და 40 წუთზე. **იმ მოსწავლეებს, რომლებმაც საპატიო მიზეზების გამო ვერ მიიღეს მონაწილეობა წერით გამოცდებში, დამატებითი წერითი გამოცდები უნდა ჩაუტარდეთ შესაბამისად 27 და 29 ივნისს.**

მეათე კლასში მისაღები გამოცდები ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში (მათ შორის — სალამოსა და დაუსწრებელ სკოლებშიც) უნდა გაიმართოს 23 ივნისიდან 1 ივლისის ჩათვლით: მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში წერითი, საქართველოს ისტორიაში — ზეპირი და სკოლაში პროფილის მიხედვით შერჩეულ ორ საგანში.

უნდა აღინიშნოს, რომ წლეულს უცვლელი დარჩება შარშანდელი საგამოცდო ინსტრუქციის ყველა ძირითადი პუნქტი, სკოლებს შეუძლიათ გამოიყენონ გასულ სასწავლო წელს მოქმედი საგამოცდო ბილეთები.

[illegible] საქართველოს ბედზე...

რესპუბლიკის შემოქმედებითი კავშირებისა და მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებული პლენუმი

ა. ხორავას სახელობის მსახიობის სახლში გაიმართა საქართველოს შემოქმედებითი კავშირებისა და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებული პლენუმი, რომელზეც სერიოზული სჯა-ბაასი იყო რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებზე.

პრინციპულ განხილვას ტონი მისცა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ გურამ ფანჯიკიძემ.

პლენუმზე გამოვიდნენ პარლამენტარები ჯანსუღ ჩარკვიანი, ლანა ღოღობერიძე, რევაზ ჭეიშვილი, მანანა გიგინეიშვილი, გივი კალანდია, მწერალი ჯანსუღ ღვინჯილია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი მინდია სალუქვაძე, რესპუბლიკის კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე სულხან ნასიძე, მსახიობი გიორგი გეგეჭკორი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე აკაკი სიხარულიძე, მხატვარი თეიმურაზ გოცაძე, არქიტექტორი გრიგოლ ბათიაშვილი, რეჟისორი სანდრო მრევლიშვილი, რომლებმაც მთელი პასუხისმგებლობით განაცხადეს, რომ საქართველოს სამეცნიერო და შემოქმედი ინტელიგენცია გაგებით ეკიდება იმ სიძნელეებს, რომლებსაც დღეს რესპუბლიკა განიცდის, ამის მიუხედავად, შემოქმედებითი მუშაობა არ ნელდება: იღებენ ფილმებს, წერენ წიგნებს, დგამენ სპექტაკლებს, ინტენსიურად გრძელდება კვლევითი მუშაობა... მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს სწამთ ქვეყნის მომავალი, მხარს უჭერენ ახლანდელ ხელისუფალთა, სახელმწიფოს მეთაურის კურსს რადიკალური რეფორმების განსახორციელებლად და კულტურის გადასარჩენად.

პლენუმი არსებითად იყო საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის განცხადების პასუხი, რომელიც მან 5 მაისს გააკეთა ეროვნული ტელევიზიით იმავე დღის პარლამენტის სხდომაზე საქართველოს ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მიხეილ ნანეიშვილის გამოსვლის გამო. პლენუმმა მიიღო მიმართვა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისადმი, რომელშიც მოუწოდა მას გამოიყენოს მთელი თავისი უფლებამოსილება სახელმწიფოებრიობის განსამტკიცებლად და რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში წესრიგის დასამყარებლად.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი ირაკლი მენაღარიშვილი.

აგრარიკოსები — ისრაელში

წლეულსაც განაგრძობენ სწავლას საქართველოს აგრარიკოსები ისრაელის კვლევით ცენტრებში. როგორც საქინფორმის კორესპონდენტს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროში აცნობეს, შარშან კვალიფიკაცია აიმაღლეს აგრონომებმა, მეცხოველეებმა, მელიორატორებმა, სხვა სასოფლო-სამეურნეო პროფესიათა წარმომადგენლებმა. ალბათ, წლევანდელ სეზონში სპეციალისტთა პირველი ჯგუფი ამ ქვეყანაში გაზაფხულის დამლევს გაემგზავრება. იგი დაკომპლექტდება წარმოების ორგანიზაციისა და მართვის მუშაკებით.

როგორც ისრაელში სასწავლებლად ნამყოფმა სპეციალისტებმა თქვეს, ამერიკის მხარის მიერ დაფინანსებული კურსები მეტად სასარგებლოა. ისინი ხელს უწყობენ პროფესიის უკეთ ათვისებას, საბაზრო ეკონომიკის პირობებში უფრო ეფექტიან მუშაობას.

გამოკითხვა „საქართველოს რესპუბლიკისთვის"

იცნობთ თუ არა მოსკოვში თანამეგობრობის მეთაურთა შეხვედრისას ხელმოწერილ დოკუმენტებს?



გამოკითხვა „საქართველოს რესპუბლიკისათვის" ჩაატარა „ინფორმ სერვისმა" 22-24 აპრილს.

რას ემყარება თანამეგობრობაში საქართველოს შესვლის თქვენი შეფასება?



გამოკითხვა „საქართველოს რესპუბლიკისათვის" ჩაატარა „ინფორმ სერვისმა", 22-24 აპრილს.

ლიბანიზაცია ბალკანიზაციამ შეცვალა, რამდენად შესაძლებელია სკანდინავიზაცია?

ჩანაწერები „კრან-მონტანა ფორუმის" ბუქარესტის კონფერენციიდან

ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ პალესტინის ეკონომიკურ განვითარებაზე მოლაპარაკე იასირ არაფატს თუ მოვუსმენდი,—ვერა. უკვე რამდენიმე თაობის (!) ცნობიერებაში პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის თავმჯდომარე ბიბლიური მარადიული ურიის მსგავსად გაიგივებული იყო მუდმივ ჯარისკაცთან, მუდმივ მეომართან, რომელიც, თავის ხალხთან ერთად მიუსაფარი და დევნილი, მთელი ცხოვრება სამშობლოს ძებნაშია. და გამუდმებული ბრძოლით სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე დადის. გეგონა, იასირ არაფატმა ომის ენა იცოდა მხოლოდ.

ერთი ხანია, გავიგეთ, რომ [illegible] გონიერი სახელმწიფო მოღვაწეა, რომელიც დღევანდელ მსოფლიო ურთიერთობაში შესანიშნავად არის გარკვეული. თუ ვინმეს ეთქმის ამ დუნიაზე, ომს შიგნიდან ვიცნობო, იგიც არის, უფრო ზუსტად, იგია პირველთაგანი. და როცა ეს პიროვნება მშვიდობისა და დიალოგის ენას მიანიჭებს უპირატესობას ისრაელ-პალესტინის საუკუნოვან ომში, ეს ამ კონკრეტულ ფარგლებს სცილდება და საყოველთაოდ მისაღებ დასკვნად აღიქმება.

თუმცა, ეს ცნობილია.

ჩვენი მკითხველისთვის უფრო საინტერესო იქნება, როგორია არაფატის ამჟამინდელი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური დოქტრინა, რომლის ძირითადი პარამეტრები მან „კრან-მონტანა ფორუმის" ბუდაპეშტის კონფერენციაზე წარმოადგინა. საინტერესოა, თავისთავად და, მაინც განსაკუთრებით იმიტომ, რომ შედარებითი ანალიზის მეშვეობით შეიძლება გარკვეული პარალელების გავლება ჩვენს დღევანდელობასთან.

პალესტინის ლიდერს მიაჩნია, რომ პოლიტიკური მოღვაწისთვის ამჟამად არ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა, ვიდრე ფეთქებადსაშიში სიტუაციის განმუხტვა, რომელიც ომის პროვოცირების რეალურ საფრთხეს შეიცავს: დღევანდელი მსოფლიო მოწესრიგება ომებით შეუძლებელია. ასეა ქვეყნებს შორის ურთიერთობის სფეროშიც, და ქვეყნის შიგნითაც. მისი საშინაო პოლიტიკის უპირველესი საკითხი არის ბრძოლა სიღატაკის წინააღმდეგ, სოციალური სამართლიანობის დამყარება.

ქაიროსა და პარიზის მოლაპარაკებებს, რომლებიც, ბოლოს და ბოლოს, ლოგიკურ დასასრულამდე მივა (5 მაისს ასეც მოხდა), მშვიდობიანი თანაარსებობის, დიალოგის, შემოქმედებითი თანამშრომლობის ერის დასაწყისი მოჰყვება. შედეგად.

ახალი პალესტინის მშენებლობის ამოსავალი მისი გეოპოლიტიკური ვითარებაა: აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეხების წერტილი, იგი ენერგიის შემცველთა უმდიდრესი რესურსების ქვეყანაა, რაც ქმნის ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის საფუძველს. აქ იზეიმებს სოციალური სამართლიანობა, ლიბერალიზმი, აღიარებული და დაცული იქნება კანონი, ადამიანის უფლებები, და, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ყველაფერი, ის, რასაც დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპები გულისხმობს.

ამ პრინციპებზე აიგება ეროვნული ინსტიტუტები.

იასირ არაფატმა განაცხადა, რომ დამუშავებულია მისი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხუთწლიანი გეგმა. აქედან 2 წელიწადი ეკონომიკის საფუძვლების შექმნას მოხმარდება, 5 — მის განვითარებას, მსოფლიო დონესთან დაახლოებას.

ამ გრანდიოზული პროექტის რეალიზაციისთვის მსოფლიო განვითარებულ ქვეყნებს იგი არა მარტო სთხოვს დახმარებას, არამედ კატეგორიულად აცხადებს, რომ „ახლო აღმოსავლეთს [illegible] აქვს უფლება ჰქონდეს თავისი „მარშალის გეგმა"... მის ამ ორიგინალურ პოზიციას კონფერენციის მონაწილენი ან უყურადღებოდ დატოვებენ, ან მხარს არ დაუჭერენ.

ამ ფონზე ყველა დიდი ინტერესით ელოდა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის შიმონ პერესის მოხსენებას, და მოლოდინი გაუმართლდათ.

— როცა ბავშვობაში ცურვის პირველი გაკვეთილი მივიღე, — დაიწყო შიმონ პერესმა, — მასწავლებელმა ერთი ჭეშმარიტების დამახსოვრება მთხოვა: თუ ტბის გადაცურვას განიზრახავ — მითხრა მან, — და ნახევარს გადასცდები, როგორადაც უნდა დაიღალო, განაგრძე გზა, რადგან აღებული კურსიდან უკან მობრუნებას უფრო მეტი ენერგია და დრო დასჭირდება (თანაც საეჭვოა, გამოდგეს კი?), ვიდრე მიზნისკენ სწრაფვას.

პალესტინასთან მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარების გზის ნახევარზე მეტი გავლილი გვაქვს. ჩემი ცურვის მასწავლებლის პირველი გაკვეთილიდან გამომდინარე, რაც უნდა შეგვემთხვეს, როგორადაც უნდა დავიღალოთ, უკან არ დავიხევთ, განვაგრძობთ გზას და მიზანს აუცილებლად მივაღწევთ.

პოპულარული პიროვნებები „საერთაშორისო ტრიბუნაზე" ძალიან თავისუფლად, ლაღად და ხატოვნად გამოდიან, თავს არიდებენ ძნელად გასაგებ, რთულ ფორმულებს, არჩევენ ლაკონიურ, სხარტ წინადადებებს. პერესს პირველად მოვუსმინე. მისი სიტყვა იყო ორატორული ხელოვნების ნიმუში.

მას უსმენდა მსოფლიოს ინტელექტუალური ელიტა (ერთ-ერთი გამომსვლელის შეფასებაა იქაური აუდიტორიისა), სიამოვნებით უსმენდა.

და შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო, — იქ და იმ წუთას ვიფიქრე ჩვენი სინამდვილის გამო. იქ ვიფიქრე, არ უნდა ჩამომერთვას ის კონტრაბანდად აქ, შინაური მღვდლის ქვეყანაში. მიხვდით ხომ, რასაც ვგულისხმობ?

— ისრაელი ებრაული სამყაროს ნაწილია, პალესტინა — არაბული სამყაროსი, — განაგრძობდა შიმონ პერესი. — ორივე საკუთარი ინტერესებითა და მისწრაფებებით დიდამიწის ერთ მცირე ტერიტორიაზე შევხვდით ერთმანეთს, და დავუპირისპირდით. ჩვენი კონფლიქტი ასობით წელიწადია გრძელდება.

მაგრამ კონფრონტაციის დაძლევა, თურმე, შესაძლებელი ყოფილა.

4 თვის წინათ ხელი მოვაწერეთ ისრაელ-ვატიკანის ხელშეკრულებას. მაშინ როცა, დაპირისპირების დაძლევაზე ვსაუბრობდით, რომის პაპმა მითხრა, ყველანი ერთი ძირისა ვართ და თქვენ ჩემი შვილები ხართ.

ხიდები

მე ვუპასუხე, ებრაელები აბრაამის შვილები ვართ. ჩვენ უნდა ვეძებოთ თანაარსებობის გზები და დავიტოვოთ საკუთარი რწმენა. დემოკრატია იმასაც ნიშნავს, რომ არ დავემსგავსოთ ერთმანეთს და განსხვავებული ვიყოთ.

გვინდა პალესტინა-ისრაელის თანხმობის ხელშეკრულებასაც მოვაწეროთ ხელი, დავიტოვოთ ჩვენი თავისთავადობა და იმათაც იგივე უფლება დარჩეთ.

ოცი საუკუნეა ებრაელ ერს არავინ დაუმონებია. არ გვინდა პალესტინელ ხალხზე ვიბატონოთ. ეს ჩვენს მორალურ საფუძვლებს ეწინააღმდეგება.

პალესტინელ ხალხს უფლება აქვს, იაროს თავისი გზით, აირჩიოს თავისი ხელმძღვანელი, თავისი მოსამართლენი, აშენოს თავისი ქვეყანა.

ომი ძალიან ძვირი უჯდება კაცობრიობას პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით.

უნდა შემცირდეს ხარჯები, რომლებიც შეიარაღებისა და ომისათვის იხარჯება, თორემ ვერავითარი მარშალის გეგმა ვერ უშველის პალესტინას.

ჩვენ უნდა განვახორციელოთ ჩვენი რეგიონული პოლიტიკა (!). უნდა ავაშენოთ ახალი ეკონომიკა (!).

არ არსებობს გადაუჭრელი კონფლიქტები.

ჩვენ ახლოს ვართ ახალ ნაპირთან და მე ვლოცულობ ამ მშვიდობის მოახლოებისთვის.

ტაში რომ იყო, აღარ უნდა ამის თქმა, მგონი.

მკითხველი, რასაკვირველია, მიხვდა, რომ ის, რაც წაიკითხა, მხოლოდ შტრიხებია ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის შიმონ პერესის ხანგრძლივი სიტყვისა. მის ამ სიტყვას კონფერენციაზე ბევრი სხვა გამომსვლელი დაიმოწმებს მერე.

ამ დღის (21 აპრილის) პლენარული სხდომების მორალი ერთია: მსოფლიო საომარი კონფლიქტების მოგვარების გზას მოლაპარაკებებსა და დიალოგში ხედავს.

პრინციპულად ის ასეა.

მაგრამ, ამასთანავე, არ გამორიცხავენ სამხედრო ჩარევასაც. ის კი არა, როცა ერთ-ერთი სხდომის თავმჯდომარეს მიქმეთ ჩეთინს ჰკითხეს, რუსეთის შეიარაღებული ძალების ტაჯიკეთში ყოფნას როგორ აფასებთო, მან უპასუხა, ყველამ ყველა საშუალებით უნდა შეუწყოს ხელი შიდა კონფლიქტებით დაგლეჯილ ქვეყანას ამ კონფლიქტების მოგვარებაშიო.

ხოლო ჟენევის ერთ-ერთი (ვერ ჩავინიშნე) ინსტიტუტის პროფესორმა ანდრე ლუბაჩმა, განაცხადა: როცა დავრწმუნდით, რომ რუსეთის საშუამავლო პოლიტიკამ, ისევე, როგორც ნატოს თვითმფრინავებით სერბების პოზიციების დაბომბვამ, შედეგი არ გამოიღო, უნდა გვეფიქრა, ამ ოპერაციაში მიწისზედა სამხედრო ნაწილების ჩართვის შესახებ.

ესე იგი, ექსტრემისტთა წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენებას არ გამორიცხავენ.

მაგრამ ვინ არის ექსტრემისტი?

22 აპრილის საღამოს პლენარულ სხდომაზე, რომელსაც რუმინეთის პარლამენტის თავმჯდომარე ანდრიანე ნასტასე უძღვებოდა, იუგოსლავიის, ბოსნია-ჰერცეგოვინის, სერბიის, ხორვატიის, ალბანეთის, რუსეთისა და რუმინეთის წარმომადგენლების ურთიერთგამომრიცხავი არგუმენტებით ისეთი არეულ-დარეული, წინააღმდეგობრივი, გაუგებარი ატმოსფერო შეიქმნა, — თუ ვინ არის დამნაშავე იუგოსლავიის საკითხში და რა უნდა გაკეთდეს მის განსამუხტავად, რომ ერთიან პოზიციაზე, კონსენსუსზე ლაპარაკიც ზედმეტი ჩანდა.

ბალკანეთი, სადაც ისტორიულად ყველა კონფლიქტი მაქსიმალურად და უკიდურესი ფორმით გამოვლინდება ხოლმე, ევროპას არა მარტო მსოფლიო კატასტროფით აშინებს, არამედ, იუგოსლავიის წინააღმდეგ შემოღებული ეკონომიკური სანქციების უარყოფითი შედეგებითაც:

იუგოსლავიის ოფიციალურ წარმომადგენელს მიაჩნია, რომ სერბების სეპარატისტული მისწრაფებებისადმი მხარდაჭერამ გამოიწვია იუგოსლავიის კონფლიქტი, რომ ეს ომი შედეგია ერთა თვითგამორკვევის უფლების სელექციური პრინციპით განხორციელებისა.

შეერთებული შტატები, — ამტკიცებს იგი, — დაგვიანებული გაბედულების ჟესტს აკეთებს, თანაც არა მარტო იმეორებს ძველ შეცდომებს, არამედ ახალი შეცდომებიც მოსდის. პარადოქსად მიაჩნია, რომ მთელი ერის წინააღმდეგ მიღებული სანქციები დემოკრატიის სახელით კეთდება. ნატოს ჩართვამ მდგომარეობა გაართულა.

ბოსნია-ჰერცეგოვინის საგარეო საქმეთა მინისტრი [illegible] აყენებს დებულებას, რომ ეს ომი სამოქალაქო ომია. ამტკიცებს, რომ სისხლიანი ფარდით იფარება მისი არსი — სერბიის იმპერიალისტური ამბიციები. სერბების ხელმძღვანელი კარაჯიჩი არ არის სერბი, ჩერნოგორიელია. როცა უნივერსიტეტში სწავლა დაიწყო, მაშინ ჩასულა პირველად იქ.

ევროპის ნეიტრალიტეტი ბოსნიის მიმართ შეცდომაა. ჰიტლერის პოლიტიკის მიმართ ასეთივე დამოკიდებულება ევროპას მილიონობით ადამიანის სიცოცხლედ დაუჯდა.

ხორვატიის ვიცე-პრემიერმა შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ ბოსნიაში გაეროს უშიშროების საბჭოს ყველა რეზოლუცია ირღვევა. ძალიან საინტერესო იყო, როცა ანდრიანე ნასტასეს მიერ წამოყენებული პარადიგმის — ლიბანიზაცია ბალკანიზაციით შეიცვალა, — საწინააღმდეგოდ მან მოწოდებით მიმართა ევროპის ქვეყნებს: ბალკანიზაციისა და ლიბანიზაციის ნაცვლად, მსოფლიოს ამ რაიონის სკანდინავიზაციისათვის ვიღვაწოთ.

მშვიდობას ალტერნატივა არა აქვს, ეს ყველამ აღიარა, მაგრამ წინააღმდეგობათა ამ მესერში გავლა არ გინდა?

სანამ ადამიანებს შეუძლიათ განიხილონ და იმსჯელონ ბალკანეთის საკითხზე, იმედი არ გადაწურულა. საბოლოოდ ამ ფორმულას, როგორც გამართლებას, ჩაეჭიდა ყველა.

* * *

უაღრესად საინტერესო იყო პრივატიზაციის საკითხებზე გამართული დისკუსია, რომელიც მარტო პოსტკომუნისტური სივრცით არ შემოიფარგლა და კლასიკური კაპიტალიზმის ქვეყნებში მიმდინარე ეს პროცესი გამოწვლილვით განიხილა.

აქ ისეთი სირთულეებია, რომ სპეციალური განათლების უქონლად ამ ამღვრეულ ნაკადს დილეტანტიზმის კოლბოხებზე ხტუნვით ფეხდაუსველებლად ვერ გადახვალ. ამიტომ, სპეციალისტებს დავუტოვოთ მსჯელობისათვის.

ეს ჩანაწერები კი ამით დავასრულოთ.

არმაზ სანებლიძე.
ბუქარესტი-თბილისი.

დასაწყისი იხ. „სრ" № 72.

ფრანგი სპეციალისტების დახმარებით

საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა თემურ ბასილიამ მიიღო საფრანგეთის ფირმ. „ალკატელის", საავტომობილო კონცერნ „რენოსა" და საფრანგეთის ფასიანი ქაღალდების საზოგადოება „ობერტურის" წარმომადგენლები.

როგორც ფირმა „ალკატელის" წარმომადგენელმა აღნიშნა უახლოეს მომავალში თბილისში ჩამოვლენ ფრანგი ინჟინრები, რომლებიც ქართველ სპეციალისტებს დაეხმარებიან ტელეკომუნიკაციური სისტემის მოწესრიგებასა და სრულყოფაში.

კონცერნ „რენოს" წარმომადგენელმა, ბატონმა ჩახოტინმა აღნიშნა, რომ საქართველოში მათი ჩამოსვლის მიზანია „საქ[illegible]რორტთან" და ქუთაისის საავტომობილო ქარხანასთან ურთიერთობის დამყარება. პერსპექტივაში საბარგო ავტომობილების წარმოება ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ბაზაზე, ამასთან, როგორც ითქვა, „რენოს" დიდი შანსი აქვს დაიკავოს ქართული საავტომობილო ბაზარი.

ხოლო, რაც შეეხება ქართული პასპორტების, პირადობის მოწმობების, ვაუჩერებისა და თვით ახალი ქართული ვალუტის — ლარის დაბეჭდვას, რომელსაც საფრანგეთის საზოგადოება „ობერტური" აწარმოებს, როგორც ითქვა, ამჟამად მხოლოდ 50000 პასპორტია ჩამოტანილი. მზად არის კიდევ 300 000 პასპორტი და 1 მილიონი პირადობის მოწმობა, რომელთაც მოთხოვნისთანავე ჩამოიტანენ საქართველოში.

მინისტრთა კაბინეტის პრეს-სამსახური — საქინფორმი.

„ეიერ ჯორჯიას" ფრთები ეზრდება

საქართველოში ერთადერთმა კერძო ავიაკომპანიამ „ეიერ ჯორჯიამ" თავისი არსებობის განვლილი არასრული ორი წლის მანძილზე სულ ერთი „ტუ-154 მ" თვითმფრინავით შეძლო მომსახურებოდა ექვსი ათას მგზავრს. შარშანდელი წლის შედეგებით, როგორც საქინფორმის კორესპონდენტს თენგიზ ჩხიკვაძეს კომპანიის პრეზიდენტმა დემურ ლილაძემ უთხრა, სახელმწიფო ბიუჯეტში მან 300 ათასი ამერიკული დოლარი შეიტანა. ამჯერად ავიაკომპანია რეისებს ახორციელებს გერმანიის (ფრანკფურტის), სინგაპურისა და ჩინეთის (პეკინის) მიმართულებებით. 1994 წელს „ეიერ ჯორჯია" აპირებს შეიძინოს კიდევ ორი ავიალაინერი, რაც მას შესაძლებლობას მისცემს გაზარდოს მგზავრთა ნაკადი და გააფართოოს ფრენის მარშრუტები.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ინტეგრაცია—კაცობრიობის პროგრესის მაგისტრალური მიმართულება

მსოფლიო ისტორიის გამოცდილება ადასტურებს, რომ კაცობრიობის პროგრესი, მისი მომავალი, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა დამკვიდრების გარდუვალ ინტეგრაციულ პროცესს ეფუძნება. მაგრამ ეს გზა კაცობრიობას დღემდე უდიდესი მსხვერპლის, ნგრევის ფასად უჯდება. სახელმწიფოების წარმოშობა-განვითარება, მათი დამკვიდრება მოითხოვდა კარჩაკეტილობის ჩარჩოებიდან გამოსვლას, კომუნიკაციების აგებასა და განვრცობას, ვაჭრობის განვითარებას და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, წესრიგსა და სტაბილურობას. საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა და ქრებოდა სახელმწიფოები, იმპერიები, ცივილიზაციები. ცალკეული სახელმწიფოების წარმოშობა, მათი დამოუკიდებლობის დამკვიდრება სისხლისმღვრელ ომებში მიმდინარეობდა, იქმნებოდა ძლიერი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, იმპერიები. თითქოს პარადოქსია, მაგრამ ფაქტია — უდიდესი იმპერიები უზრუნველყოფდნენ უზარმაზარ სივრცეებზე კომუნიკაციების განვითარებას, ვაჭრობა-აღებ-მიცემობის უსაფრთხოებას, წესრიგს, ხალხების ერთმანეთთან დაკავშირებას. გაძლიერებული ეთნოსები და ხალხები თავის მხრივ დამოუკიდებლობისაკენ ილტვოდნენ, რასაც იმპერიათა ნგრევა, ახალ-ახალი სახელმწიფოების წარმოშობა სდევდა თან. რომელთა განვითარება კვლავ ეროვნული სახელმწიფოების თარგლებიდან გამოსვლას მოითხოვდა, იწყებოდა ისევ ომები, სისხლისღვრა, ახალი იმპერიების შექმნა და ისევ ნგრევა. ევროპაში ცენტრალიზებული აბსოლუტური მონარქიებისა და იმპერიების შექმნა და ასე დღემდე.

რუსეთის იმპერიის დამხობის შემდეგ ახალ იდეოლოგიურ და ეკონომიკურ საფუძველზე საბჭოთა იმპერიის შექმნა. მის დანგრევა-დაშლა, მის ნანგრევებზე დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოების შექმნას ახალ ეკონომიკურ, დეიდეოლოგიზებულ საფუძვლებზე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ჩამოყალიბების აუცილებელი ინტეგრაციული პროცესის დაწყება მოჰყვა, რასაც თან სდევს დეზინტეგრაციასთან დაკავშირებული რადიკალურ-ნაციონალისტური მისწრაფებათა და აგრესიული სეპარატისტული შეიარაღებული მოქმედების გაძლიერება.

ბირთვული განადგურების რეალურმა საშიშროებამ — არა მარტო ბირთვული იარაღის უზარმაზარი არსენალების არსებობამ, არამედ ბირთვული ობიექტების — ატომური ელექტროსადგურებისა და ბირთვული ტექნოლოგიის გავრცელებამ, გზა გადაუღობა დიდ სახელმწიფოებს — ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირსა და მის სამართალმემკვიდრეს რუსეთის ფედერაციას, მსოფლიოში დომინირების ტენდენციებს და მათ აუცილებელი პარტნიორობისაკენ უბიძგა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ყოფილმა საბჭოთა იმპერიამ დეიდეოლოგიზაცია და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გზა აირჩია.

მეოცე საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს პოლიტიკოსს, საფრანგეთის პრეზიდენტს გენერალ დე გოლს პოლიტიკური პარტიების არსებობა ქვეყნების ჭეშმარიტი ეროვნული ინტერესების ხელყოფად, ამ ინტერესების პარტიულ ბინებში დანაწილებად მიაჩნდა. მისი აზრით, ბოლშევიზმიც პოლიტიკური ინტერესების გამოვლინება იყო, ხოლო ევროპა თავისი ფასეულობებითა და ინტერესებით, ურალამდე იყო გადაჭიმული.

დღეს ზოგადკაცობრიული ინტერესები გლობალურ განზომილებას იძენს. სწორედ ამ პროცესებმა ბოლო უნდა მოუღოს მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულის ყველაზე დიდ საშიშროებას — აგრესიულ ნაციონალიზმსა და სეპარატიზმს. მსოფლიოს დეზინტეგრაციის საფრთხეს. სახელმწიფოებისა და ხალხების კვლავ ერთმანეთისადმი დაპირისპირებას. 21-ე საუკუნე მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების ტრიუმფის საუკუნე უნდა იყოს, რასაც ისტორიული პროცესების გარდუვალობა მოითხოვს.

ასეთ მსოფლიოში უბედობა [illegible] საბჭოთა კავშირის ყოფილი იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს. ისინი ორი უმთავრესი პრობლემის — უმძიმესი ეკონომიკური კრიზისისა და აგრესიული ნაციონალიზმისა და სეპარატიზმის წინაშე აღმოჩნდნენ. თუ პირველი მჭიდროდ ინტეგრირებული საბჭოთა ეკონომიკის ნგრევამ განაპირობა, მეორე დამოუკიდებლობის მიღების უკიდურესმა ეიფორიამ, მთელი [illegible] ნაციონალიზმის [illegible], შესისხლხორცებულ ფასეულობათა [illegible], იდეოლოგიურმა ვაკუუმმა წარმოშვა.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ 6 მაისს გერმანიის ბუნდესტაგის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციის ლიდერ ჰანს იოჰან ფოგელთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ დღეს საქართველოს წინაშე ორი პრობლემა დგას — ქართველ-აფხაზთა კონფლიქტი და უმძიმესი ეკონომიკური კრიზისი, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, მოიშალა ეკონომიკური კავშირები რუსეთთან და სხვა რესპუბლიკებთან. საქართველო სრულ იზოლაციაში აღმოჩნდა, რომ სწორედ ამ კავშირების აღდგენა და მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან ინტეგრაციული კონტაქტების დამყარება წარმოადგენს დღეს უმთავრეს ამოცანებს. ამასთან, მან ხაზი გაუსვა იმის მიუხედავად, რომ დღევანდელ ეტაპზე საკმაოდ რთულია არსებული პრობლემების გადაჭრა, საქართველომ აღიარა ეკონომიკური რეფორმებისა და დემოკრატიის გზა, რომელსაც არ გადაუხვევს. თავის მხრივ, **ბატონმა ფოგელმა აღნიშნა, რომ მეგობრის გვერდით ყოფნა სწორედ ძნელბედობის ჟამს არის საჭირო, რომ გერმანიის მთავრობას ეს კარგად ესმის. ესმის ისიც, რომ მისი მხრიდან საქართველოსათვის გაწეული დახმარება საკმარისი არ არის და ამიტომაც მიესალმება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებას ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან კავშირების აღდგენის შესახებ, რომ საქმიანი რეალური, კონტაქტების აღდგენა არ ნიშნავს რომელიმე მხრიდან დაჩაგვრის ელემენტის გაჩენას.**

ბატონი ფოგელი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის შტაბ-ბინაში გამართულ პრესკონფერენციაზე მიესალმა ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერს გურამ მუჩაიძეს. მხარი დაუჭირა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხაზს — განავითარონ ინტეგრაციული პროცესები და კეთილმეზობლობა რუსეთთან, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთიანი ეკონომიკური სივრცის აღდგენის კურსს.

ჩვენს თვალწინ მიმდინარე პროცესები სულ უფრო გლობალური მსოფლიო მასშტაბებით ვითარდება, პლანეტის ნებისმიერ კუთხეში ცალკეული ადამიანის ბედი, საქმიანობა დღევანდელი საკომუნიკაციო საშუალებათა მეოხებით მსოფლიოს ყველა ადამიანის განსჯისა და შეფასების არეალში ექცევა. სულ უფრო ძნელი ხდება კაცთმოძულე, ბნელი ზრახვებისა და მისწრაფებების დაფარვა, რასაც არც თუ იშვიათად „მეოთხე ხელისუფლების" მხრივ, მათი მზის სინათლეზე გამოტანა უწყობს ხელს და ესეც მსოფლიო ინტეგრაციული პროცესების ლოგიკური შედეგია.

ირაკლი ჯაფარიძე.

დაწესდა მარშალ გიორგი ჟუკოვის ორდენი და მედალი

გიორგი ჟუკოვის ორდენი და მედალი დააფუძნა რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა მარშალ გიორგი ჟუკოვის დიდ სამამულო ომში გამოჩენილ დამსახურებათა აღსანიშნავად, ქვეყნის შეიარაღებული ძალების მშენებლობაში, მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში გ. ჟუკოვის როლის აღიარების ნიშნად.

„უფრო ფართო პროგრამის ხელმოწერის მომხრე ვართ"

„რუსეთი უარს არ ამბობს ნატოსთან პარტნიორობაზე, მაგრამ საჭიროა სწორედ თანაბარი თანამშრომლობა". — ეს განაცხადა კვირას იტარ-ტასის კორესპონდენტისათვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრეი კოზირევმა. „ეს იყო და არის ჩვენი კონცეფცია საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობაში", — აღნიშნა მან.

შეეხო რა რუსეთის როლსა და მნიშვნელობას საერთო ევროპულ პროცესში, ანდრეი კოზირევმა თქვა: „ჩვენ არა ვართ სუსტი მხარე. არა გვაქვს არასრულფასოვნების არავითარი კომპლექსი. ამიტომაც, მზად ვართ, ვითანამშრომლოთ ნატოსთან თანასწორი უფლებებით". როგორც მინისტრმა თქვა, აპრილში დასახული „მშვიდობისათვის პარტნიორობის" ხელშეკრულების ხელმოწერა იმიტომ არ გამართულა, რომ „შეიქმნა შემოთავაზებული დოკუმენტის დახვეწის საჭიროება". „ვფიქრობ, — ხაზი გაუსვა ა. კოზირევმა, — ხელს მოვაწერთ არა მარტო ამ ყოვლისმომცველ დოკუმენტს, რუსეთ-ნატოს თანამშრომლობის უფრო ფართო, სოლიდურ პროგრამასაც".

რიჩარდ ნიქსონის სამახსოვრო საფოსტო მარკა

ვაშინგტონი, 8 მაისი, (იტარ-ტასი-საქინფორმი). გაისად, წლის დამდეგს, ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოუშვებენ ახალ მარკას რიჩარდ ნიქსონის გამოსახულებით. ამით ამერიკელი ხალხი პატივს მიაგებს შეერთებული შტატების ოცდამეჩვიდმეტე პრეზიდენტის ხსოვნას.

დამკვიდრებული ტრადიციისამებრ ამერიკის შეერთებული შტატების საფოსტო სამსახური მუდამ უშვებს მარკებს ქვეყნის განსვენებულ პრეზიდენტთა ხსოვნის გამო მათი გარდაცვალების პირველი წლისთავისათვის. 1995 წლის 9 იანვარს რიჩარდ ნიქსონს 82 წელი შეუსრულდება.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

პოზიცია

უფრთხილდით „წითელ დირექტორებს!"

ანუ ღარიბი ქვეყნები და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი

თუმცა ყველა ღარიბი ქვეყანა ერთნაირად ღარიბია, მაგრამ სიღატაკიდან თავის დაღწევის რეცეპტი ყველას საკუთარი აქვს. გასაოცარი მხოლოდ ის არის, რომ ან არავის სურს უკვე გამდიდრებულთა გამოცდილების გაზიარება, ან ყველა ბრმად არის გატაცებული ხელოვნური ტრანსპლანტაციის იდეით ადგილობრივ რეალობათა სრული უგულებელყოფის ვითარებაში.

ყოველივე ზემოთქმული ჩვენც გვეხება რხევის გარკვეული ამპლიტუდით. იგივე მრეწველობა რომ ავიღოთ, რომლის გაცოცხლებასაც მთავრობა უკავშირებს ქვეყნის წინაშე მდგომ ყველა პრობლემის გადაჭრას (კუპონის ფურცლად ქცევიდან დაწყებული და ნარკომანიით დამთავრებული).

სპეციალისტთა ერთ ჯგუფს [illegible] მიაჩნია, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის შექმნა.

პირადი საუბრების საფუძველზე შემიძლია დავასკვნა, რომ ამ იდეას არასპეციალისტებიც იზიარებენ. ერთი შეხედვით, არგუმენტი ზედაპირზეა და შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს. ამუშავდება ქარხნები, შეიქმნება პროდუქცია, შემცირდება უმუშევრობა, განმტკიცდება ეროვნული ვალუტა, არმია მიიღებს იარაღს, შეიძლება ზოგი რამ უცხოეთშიც გავყიდოთ და ვალუტა შემოვიტანოთ, და ასე შემდეგ. ოცნება მუდამ კოსმოსური სისწრაფითა და მანძილით უსწრებს რეალობას, მით უმეტეს, როცა კეთილშობილი და ყველასათვის სანუკვარი მიზნები [illegible] ფარად არის ქცეული.

სჭირდება ქვეყანას სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი? რასაკვირველია სჭირდება, მაგრამ როგორ ქვეყანას? ის, რაც ერთისათვის სიკეთის მომტანია, შეიძლება მეორისათვის დამღუპველი გამოდგეს. ფაქტია, რომ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის გარეშე უკვე ძნელი წარმოსადგენია, ვთქვათ, ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკა, თუმცა მრეწველთა და გენერალთა კორპორაციული ალიანსისაგან მოსალოდნელ საფრთხეზე პირველმა პრეზიდენტმა დ. ეიზენჰაუერმა ატეხა განგაში. მის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა და იგივე ამერიკაში სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი მეცნიერების რიგ პერსპექტიულ დარგთა განვითარების ძლიერ კატალიზატორად იქცა. ეს თავის მხრივ იმის გარანტიაც არის, რომ კონვერსიის პროცესი უმტკივნეულოდ ჩაივლის.

ახლა, რაც შეეხება ღარიბ ქვეყნებს, დავიწყოთ იმით, რომ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი [illegible] ვერ იტანს უსახსრობას, ხელმომჭირნეობას და, რაც მთავარია, არაკომპეტენტურობას. პრაქტიკულად შეუძლებელია მისი შექმნა სოლიდური ფინანსურ-მატერიალური და სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის გარეშე. შემთხვევითი არ არის, რომ მდიდარ ქვეყნებში, სადაც კი არსებობს მძლავრი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, ამ მიზნით განკუთვნილი ხარჯების ერთ მესამედზე მეტი სამეცნიერო-კვლევით და ლაბორატორიულ სამუშაოთა საჭიროებისთვის არის გამიზნული. ღარიბი ქვეყნის ბიუჯეტი ელემენტარულად ვერ აიტანს ასეთ დატვირთვას. ამას მოჰყვება ის, რომ მრეწველთა და გენერალთა ტანდემი მძლავრ ლობისტურ საქმიანობას წამოიწყებს დოტაციებისა და შეღავათიანი კრედიტების მისაღებად (რომელსაც ვერასოდეს დაიბრუნებს სახელმწიფო). საბოლოო ჯამში ვიწრო წრის ამბიციებს ემსხვერპლება პირველ რიგში ქვეყნის ბიუჯეტით სოციალური, ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და სხვა „არაპრესტიჟული" საჭიროებათათვის განკუთვნილი ასიგნებანი.

სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის პატრიოტთა ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი, როგორც უკვე აღვნიშნე, მრეწველობის გაცოცხლება და სამუშაო ადგილების შექმნაა; დავუშვათ, მართლაც მოხდა საოცრება და სრული დატვირთვით ამუშავდა რამდენიმე ქარხანა, დაიწყო პროდუქციის გამოშვება. რიგითმა დიასახლისმაც მშვენივრად იცის, რომ, ვთქვათ, იგივე კაპრონისა თუ კარბოვანეცის განმტკიცებას სამამულო მრეწველობის მხოლოდ ისეთი პროდუქცია შეუწყობს ხელს, რომელსაც ფართო მომხმარებელი ეყოლება. ზემოხსენებული ქარხნების პროდუქციამ ეს მისია რომ შეასრულოს, დიასახლისს უნდა ჰქონდეს სურვილი და შესაძლებლობა უპრობლემოდ იყიდოს ახლომდებარე გასტრონომში ავტომატი, „ლიმონკა", პისტოლეტი, ვაზნები, ხოლო „ავტო-ვაზის" სადგომებზე თავისუფლად და ხელმისაწვდომ ფასებში იყიდებოდეს (ბუნებრივია, კუპონებზე) ტანკები. ჯავშანტრანსპორტიორები, სამხედრო შვეულმფრენები და ა. შ. ერთი სიტყვით, იმის თქმა მსურს, რომ სამხედრო ქარხნების პროდუქციის ერთადერთი მყიდველი ჰყავს — სახელმწიფო. მდიდარ სახელმწიფოს ის უპირატესობაც აქვს, რომ იქ კერძო კორპორაციათა ხელშია სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი და სახელმწიფო მხოლოდ დამკვეთის როლშია, ღარიბ ქვეყანაში კერძო სექტორი, ისიც დიდი ვაივაგლახით, მოპარული ჰუმანური დახმარებითა და „სნიკერსით" ვაჭრობას თუ ართმევს თავს. ფაქტია, რომ ღარიბი ქვეყნისათვის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი ძვირადღირებული ფუფუნებაა. გასულ საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში პოლონელ არისტოკრატებზე ოხუნჯობდნენ, სიასამურის ქურქები პირდაპირ ნიფხავ-პერანგზე აცვიათო, განა შეიძლება ქვეყანაში მაკარონისა და კბილის პასტის ქარხნები გაჩერებული იყოს და იარაღის ქარხნები მუშაობდეს? ღარიბი ქვეყანა იმიტომაც არის ღარიბი, რომ სრული ქაოსი და განუკითხაობაა. არც წესრიგი, კონტროლი და დისციპლინაა (მათ შორის შრომითი) ღარიბი ქვეყნის „სუსტი" მხარე. ვინც 27 აპრილს ბატონ რეზო შავიშვილს უსმინა „ალიონში", მას ქრისტე ღმერთიც ვერ დააჯერებს, რომ ჩვენში შეიძლება არსებობდეს ქარხანა თუ ფაბრიკა, რომლის პროდუქციაც „შავ ბაზარზე" არ მოხვდება. აი, იქ კი მასზე ნამდვილად იქნება „ფართო სახალხო მოთხოვნილება".

პირადად ჩემს განსაკუთრებულ შეშფოთებას ის ფაქტი იწვევს, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ენთუზიასტებად უკვე მოგვევლინენ ყოფილი „წითელი დირექტორები", რომელთა მუშაობის სტილი, პრინციპები, სახელმწიფოებრივი ინტერესებისადმი ცინიკური დამოკიდებულება, საბაზრო ეკონომიკისადმი ალერგია და წარმოების „სოციალისტური წესის" სხვა პოსტულატებისადმი მორწმუნეობრივი ერთგულება, საყოველთაოდ ცნობილია. როგორც, ამ დღეებში ერთ-ერთი რუსი ჟურნალისტი მოსწრებულად წერდა, ფრანგი ბურბონებისა არ იყოს, მათ არაფერი არ დავიწყებიათ და ძილშიც კი „მარცხენა" საქონელზე ოცნებობენ. იგივე რუსეთის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იქ თანდათანობით წარსულს ბარდება „წითელ დირექტორთა" ერა (ვოლსკის პარტიამ ერთი დეპუტატიც კი ვერ გაიყვანა ახალ პარლამენტში!) ჩვენში რა, ბრუნდება მათი დრო?

ღარიბი ქვეყნებისათვის „საკუთარ" (იგი არასოდეს არ იქნება საკუთარი!!!) სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს კიდევ ერთი უარყოფითი მომენტი სდევს — ზღუდავს და ალტერნატიულს ხდის შეიარაღების წყაროს, სისტემატური მოდერნიზაციისათვის საჭირო სახსრების (უცხოური ვალუტის) ქრონიკული დეფიციტი კი აუხდენელ ოცნებად გაუხდის ეროვნულ არმიას თანამედროვე შეიარაღებას, კავშირგაბმულობის საშუალებებს, ამუნიციას, ტრანსპორტს და ა. შ. საერთაშორისო გამოცდილებამ უკვე დაამტკიცა, რომ ყველაზე სწრაფად სწორედ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის პროდუქცია ძველდება და „ბერდება". ეს არ არის გასაკვირი — ამ სფეროში ხომ საუკეთესო ტვინები მუშაობენ. სტატიის დასაწყისში ტერმინი „სპეციალისტები" ვიხმარე; თანამედროვე მოთხოვნათა ადეკვატური დონის სპეციალისტები კი არც ერთ ღარიბ ქვეყანას არ ეყოლება, თუნდაც ობიექტური მიზეზების გამო; აქ მხოლოდ ბუნებრივი მონაცემები და თანდაყოლილი ნიჭი საკმარისი არ არის; იმიტომაც გარბიან მთელი მსოფლიოდან მეცნიერები ამერიკაში, რომ იქ ეგულებათ თავიანთი პოტენციური შესაძლებლობების რეალიზაციის შანსი (ბუნებრივია, „წითელ დირექტორებს" ამერიკაში არავინ ელის). ამიტომაც არის, რომ თუკი ღარიბი ქვეყანა მაინც აჰყვება ამბიციებს და შეეცდება „საკუთარი" სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის შექმნას, თუნდაც რაიმე შენიღბული სახელწოდებით იგი აკვნიდანვე განწირულია, ვერ [illegible], ვერ შეასრულებს დაკისრებულ მისიას და საბოლოო ჯამში ძვირად შესანახ რუდიმენტად იქცევა.

უკვე თვალნათლივ ვხედავ „წითელი დირექტორების" ბრაზით გაფითრებულ სახეებს და მესმის მათი „მომაკვდინებელი" ბრალდება. ეს ანტიეროვნული პოზიცია და დილეტანტიზმია, რომელიც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას ემუქრება. რას ვიზამ — „წითელი დირექტორი" იმიტომაც არის წითელი, რომ სხვა ფერებთან მიმართებაში განუკურნებელი დალტონიზმით არის დაავადებული.

მაშ რა ქნას ღარიბმა ქვეყანამ? არც სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის შექმნას, არც მრეწველობის აღდგენაზე, არც ეროვნული არმიის შეიარაღებასა და აღჭურვილობაზე იზრუნოს და არც თავდაცვისუნარიანობაზე? რაც შეეხება სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს და მრეწველობის გამოცოცხლებას, აქ კავშირი ხელოვნურია. მსოფლიო რუკაზე დაუხედავად შეიძლება ათობით პატარა სახელმწიფოს ჩამოთვლა, სადაც ერთი სამხედრო ქარხანაც არ არის, მაგრამ მრეწველობა შესანატრ მდგომარეობაშია. თავდაცვისუნარიანობის გარეშე ვერც მდიდარი სახელმწიფო იარსებებს და ვერც ღარიბი. სხვა საკითხია, რომ არსებობენ ისეთი ბედნიერი სახელმწიფოები, რომელთა თავდაცვისუნარიანობა პირდაპირ კავშირში არ არის სამხედრო ძალასთან. ჩვენ იმ უიღბლო სახელმწიფოებს მივეკუთვნებით, აუცილებლად რომ სჭირდება სამხედრო ძალა. გარედან საფრთხეზე რომ არაფერი ვთქვათ, ჩვენი თაობის ნომერ პირველ ამოცანად უკვე იქცა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ამ პროცესში სწორედ რეალურ ძალას უნდა ემყარებოდეს დიპლომატია. ასე რომ, ერთის მხრივ ცალსახად გვჭირდება ქმედითი სამხედრო ძალა, ხოლო ამავე დროს არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ ქვეყნისა და მრეწველობის მილიტარიზაცია. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს დღევანდელ ხელმძღვანელობას კურსი აღებული აქვს შედარებით პატარა, მაგრამ კარგად გაწვრთნილი და შეიარაღებული არმიის შექმნაზე, რომელსაც მხოლოდ თავდაცვითი ფუნქციები ეკისრება.

შემთხვევითი არ ყოფილა, რომ მეორე მსოფლიო ომში, ბრძოლის ველზე, საბჭოთა კავშირმა გერმანიაზე გაცილებით მეტი ჯარისკაცი დაკარგა. მართალია, რუსი ისტორიკოსები ამაში მხოლოდ სტალინს ადანაშაულებენ, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, საბჭოთა ჯარისკაცთა ცუდი შეიარაღებაც იყო. საბჭოთა იმპერიას შეეძლო შელეოდა ცოცხალი ძალის უზომო დანაკარგებს, მაგრამ პატარა ქვეყანას ეს არ შეუძლია. რაც უფრო პატარაა ქვეყანა, რაც უფრო შეზღუდულია მისი სამობილიზაციო პოტენციალი და რაც უფრო მცირერიცხოვანია მისი არმია, მით უფრო უკეთ უნდა იყოს იგი გაწვრთნილი და რაც მთავარია, **შეიარაღებული.** ეროვნული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი კი ვერასოდეს ვერ აღჭურავს ჩვენს არმიას თანამედროვე იარაღით. განა ცოტა შემთხვევაა, როცა ყიდვა უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ადგილზე წარმოება? მით უმეტეს, თუ წინასწარ ცნობილია, რომ პროდუქცია უხარისხო და მოძველებული იქნება? არც იმის გამორიცხვა შეიძლება ჩვენს დინამიკურ თანამედროვეობაში, რომ სულ მალე ეროვნული არმიის მშენებლობის სხვა ალტერნატიული წყარო გამოჩნდება. ასეთ პერსპექტივას დღეს ვერავინ უარყოფს.

მკითხველს შეიძლება ეჩვენოს, რომ წერილის ავტორს „გართულება" აქვს „წითელ დირექტორებზე" და ნაწილობრივ არც შეცდება; ფაქტია, რომ „წითელ დირექტორთა" კორპუსი მარტო არ არის, როცა ქვეყანა ასეთ დღეშია და მრეწველობა სულს ღაფავს, გასაგებია ხელისუფლებისა თუ საზოგადოების აქტიური ნაწილის გაზრდილი ინტერესი ჩიხიდან გამოსვლის ნებისმიერი მიმზიდველი პროექტებისა და მათი ავტორებისადმი. ასეთ სიტუაციაში ყველა პროექტი საფუძვლიანად უნდა იქნეს განხილული და სამსჯავროზე გამოტანილი. მიუღებელია გადაწყვეტილების მიღება ძველი „კაბინეტური მეთოდით", როცა ყველაფერს წყვეტდა დაინტერესებულ პირთა „ჩაწყობის" უნარი და ხელისუფლების (დერეფნებში) შეღწევის ტალანტი. აი, აქ უკვე „წითელ დირექტორებს" ვერავინ შეედრება. საბჭოთა პერიოდში მათ ამ სარბიელზე ისეთი სკოლა აქვთ გავლილი და ისეთი მწვერვალები დაპყრობილი, რომ სადაც სამართალია, მათი ადგილი გინესის რეკორდთა წიგნშია. ტყუილად ხომ არ ითვლებოდა „წითელი დირექტორის" მთავარ ღირსებად უნარი „ვიბივაცა" (ამ ტერმინს არა აქვს ზუსტი ქართული შესატყვისი) საჭირო [illegible]ვეტილებები და ფინანსირება. ასე, რომ, უფრთხილდით „წითელ დირექტორებს", ერთი ეკონომიკა მათ უკვე დაასამარეს!

სოსო ცინცაძე.

ინფორმაცია

ქართველოლოგიის დღე ლონდონში

6 მაისს, ლონდონში, გაიმართა ტრადიციული ქართველოლოგიის დღე, რომლის ორგანიზატორია ქართველოლოგი, პროფესორი თამარ დრაგაძე. ლონდონში მიწვეული იყვნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები. ქართველოლოგთა შეხვედრა ამჯერადაც თემატიკის მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა.

დამსწრე საზოგადოების წინაშე საქართველოს ახალი კონსტიტუციის შესახებ მოხსენებით წარსდგა საქართველოს პარლამენტის წევრი, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ ხმალაძე.

სახელმწიფოს მეთაურის აპარატის სახელმწიფო მრჩეველმა რევაზ ეგაძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე „სოხუმის დაცემა, გამომწვევი მიზეზები და საქართველოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები". როგორც ცნობილი გახდა, მოხსენების შემდეგ მოეწყო ბლიცპრესკონფერენცია, რაც მოხსენების თემის სიმძაფრემ და აქტუალობამ გამოიწვია.

საქართველოსთან ურთიერთობის შესახებ მოხსენებებ წაიკითხეს სომხეთისა და აზერბაიჯანის ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო-საქინფორმი.

შეხვედრა ათი წლის შემდეგ

ქართული მხატვრობის ზეიმია ახალ გალერეაში. აქ, თითქმის 10 წლის შესვენების შემდეგ გაიხსნა რუსუდან ფეტვიაშვილის ნამუშევრების გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია მხატვრის მიერ ბოლო წლებში შექმნილი შედევრები. ამ წლებში მხატვარი ქმნიდა და ახალი ტილოებით ამდიდრებდა თავის განუმეორებელ სამყაროს. მისი ნამუშევრების გამოფენები ეწყობოდა მსოფლიოს უდიდეს და პრესტიჟულ საგამოფენო დარბაზებში. რუსუდან ფეტვიაშვილის შემოქმედება შეიყვარეს სხვადასხვა ეროვნების ადამიანებმა დედამიწის მრავალ კუთხეში.

— ერთადერთი, რაზეც მწყდება გული, — თქვა მხატვარმა თბილისურ ვერნისაჟზე, — არის ის, რომ ახლანდელ გამოფენაზე არ არის წარმოდგენილი ბოლო წლებში შესრულებული ოცზე მეტი ტილო, რომლებიც ამჟამად ნიუ-იორკშია, სადაც მზადდება ჩემი ნაწარმოებების გამოფენა.

თავდასხმა „ალგეთის" ბაზაზე

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, ათი ავტომატით შეიარაღებული ბოროტმოქმედი თავს დაესხა მარნეულის სააქციო საზოგადოება „ალგეთის" ბაზას, რომელსაც იცავდა დაცვის პოლიცია. ბოროტმოქმედებმა პოლიციელები ჩაკეტეს სამორიგეო ოთახში, გატეხეს საწყობის კარი და გაიტაცეს 8556 ბოთლი „რუსკაია ვოდკა".

ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

მკვლელს — დახვრეტა

აფხაზეთიდან დაბრუნებული, ორჯერ ნასამართლევი რ. გოგისვანიძე უნებართვოდ შეძენილ ავტომატს ყოველთვის თან ატარებდა. იმ დილით ქუთაისის პურის ქარხანაში დაწესებულ ფასად პური შეიძინა. საღამოხანს მთვრალი ისევ მიადგა ქარხანას, არ დაემორჩილა პოლიციელს, წინააღმდეგობა გაუწია მას, ძალით შეიჭრა და საცხობის გამგეს ფხაკაძეს გადახდილ თანხაზე დაუწყო დავა. ფხაკაძემ აუხსნა, რომ არავითარი დარღვევა არ მომხდარა, შებრუნდა და ოთახში შესვლა დააპირა. გოგისვანიძემ იუკადრისა ასეთი პასუხი, და 18 ტყვია დაახალა ფხაკაძეს. ერთი ტყვია მსხვერპლს თავის ქალაში მოხვდა და ადგილზევე განგმირა. იქ მყოფი სხვა თანამშრომლების სიცოცხლეს კი რეალური საფრთხე შეუქმნა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ქალაქ ქუთაისში გამსვლელ სხდომაზე დამნაშავედ ცნო გოგისვანიძე და შეუფარდა მას სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

უზენაესი სასამართლოს პრესსამსახური.

გატაცება

გასაუბრება ძველ თბილისთან

ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში 25 მილიონი რუსი ცხოვრობს. ცნობილია, რომ საქართველოს გარდა, მათი ცხოვრების პირობები თითქმის ყველგან უკიდურესად მძიმეა: განიცდიან დევნას, ვერ ღებულობენ მოქალაქეობას, არბევენ მათ სკოლებს და ა. შ.

ისმება კითხვა: როგორ მიაღწიეს საქართველოში რუსებმა ასეთ კეთილგანწყობას? ამ კითხვაზე იური იულდაშევი, თბილისელი ინჟინერი და თვითნასწავლი მხატვარი, დაფიქრებით უპასუხებს: — ამ ცხოვრების დანახვა უამრავი მხრიდან შეიძლება და ყველა ადამიანის უფლებაა მასში ის დაინახოს, რაც მისთვის უფრო სასურველია. თბილისი და საქართველო მუდამ მიღვიძებს ჩემი ცხოვრების ნათელ, ბედნიერ მოგონებებს, რომელსაც მაშინაც კი ვერ გააქრობს ვერავითარი ძალა, როცა სხვა ყველაფერი ფერფლსა და მტვერში ჩაიძირება.

იური იულდაშევი თბილისში დაიბადა და გაიზარდა. მისი შემოქმედების ერთადერთი თემაც თბილისია. 40 წლის კაცისთვის ძველი თბილისის თემა საოცრად ახლობელი გამხდარა. — მინდა მხოლოდ ძველ თბილისზე „ვიმუშაო", — ამბობს იური.

პატარა სახელოსნოში უჩვეულო შემოქმედების ნიმუშებია გამოფენილი. ფერადი ლითონების, კერამიკის, ხის მასალისგან დამზადებული მაკეტები. ძველებური სახლები, სამიკიტნოები, სახელოსნოები, ვაჭრები, ხელოსნები, სახლების ზემოთ მწვანე, დაკლაკნილი კვამლი. არაფრის, არც ერთი განცდისა და დეტალის გამოტოვება არ შეიძლება. ღია ფანჯრებიდან თვით ცხოვრება იღვრება. ონკანიდან წყალი მოჩხრიალებს, ძველებურ ქურაზე ტაფა დგას, იქვეა დაჭრილი მწვანილი და ბოსტნეული. კარის ზღურბლთან ფლოსტები თითქოს პატრონის შემოსვლას ელოდება. და ყოველივე ეს ხილული ხდება იმ ძლიერი სითბოს ზემოქმედებით, შემოქმედი რომ ასხივებს.

მის წინაშე ძველი თბილისი ფეხის წვერებზე დადის. კრამიტის სახურავებზე თითქოს წვიმა შხაპუნობს. ამ ძველებურ მდუმარე სახლებში თვით დუმილსაც კი ფერი აქვს — თვალისმომჭრელად თეთრი. დეტალების სიყვარული, ნიუანსების შეგრძნება — თითქოს ხელახლა გრძნობ ყველაფერს, რაც განგიცდია, რაზეც გიფიქრია, გიოცნებია. და აი, შემოქმედი ყველაფერს თავიდან გიამბობს, თითქოს უკან გიბრუნებს, შენს სულს სარკეში ახედებს და მის ანარეკლზე გესაუბრება.

მეუღლეც რუსი ჰყავს. ქალბატონი ირა პროფესიით მუსიკოსია.

— იურის მუშაობის დროს მუსიკა ძალიან შველის, — ამბობს ირა და სწრაფად ამატებს, — მუსიკა? არა, ის, რაც ამის მიღმაა.

ამბობენ, ყველა ოჯახს თავისი მიკროკლიმატიაო. სიტყვაში „ოჯახი" იულდაშევებისთვის სიცოცხლის არსია ჩადებული. ამას აქ უმალ იგრძნობ. მათი ერთადერთი ვაჟი, პირველკლასელი კოტე ქართულ სკოლაში დადის. მშობლები ამაყობენ, შვილმა რომ მათზე უკეთ იცის ქართული.

— ჩემს შემოქმედებაში არაფერია არაქართული, არც ნახატებში, არც მაკეტებში, — ღიმილით ამბობს იური, — რუსეთში უკვე დაინტერესდნენ ჩემი ნახელავით. მალე ერთ-ერთი პეტერბურგული ფირმა მათ გამოფენა-გაყიდვას მოაწყობს. დასანანია, შემოქმედის შექმნილი მთელი ეს სილამაზე საქართველოდან რომ უნდა გავიდეს.

ჩვენს გვერდით საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობს თვითნასწავლი შემოქმედი იური იულდაშევი, რომლის მთელი ღვაწლიც, უბრალოდ, გასაუბრებაა ძველ თბილისთან.

მზია გელენავა.

• • •

სურათზე: იური იულდაშევი მუშაობისას.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.



ორი სამშობლოს შვილი

შალომ, შენს გარჯას, ბატონო აბრამ!

მეოთხედი საუკუნის წინათ საქართველოს ერთ პროვინციულ ქალაქში ცხოვრობდა კაცი განათლებული, წიგნიერი, ფრიად მორწმუნე, ადამიანებთან ურთიერთობაში შემწყნარებელი და დამთმობი, საუბრებში კი, თუ საქმე ქართულ ლიტერატურას, მეტადრე ენის საკითხებს შეეხებოდა — ფიცხი და უშეღავათო.

სამსახურიც ხომ ასეთი ჰქონდა აბრამ მამისთვალოვს — ცხინვალის ქართული გაზეთის „საბჭოთა ოსეთის" რედაქციის სტილისტი იყო და რედაქციაში მართლწერის ნორმების შესახებ კამათს რა გამოლევდა!

გაზეთის რედაქტორი, აწ განსვენებული არჩილ მამისაშვილი აბრამ მამისთვალოვთან ერთად მოთმინებით წვრთნიდა ადგილობრივ ქართულ და ოსურ ჟურნალისტურ კადრებს. რა ვუყოთ მერე, მოწაფეებში ერთი-ორი იუდაც თუ გამოერია! ეს ახლა გაირკვა, როცა ცხინვალის რეგიონში ქართველ-ოსთა ურთიერთობა გამწვავდა, თორემ მაშინ რედაქციის კოლექტივი ერთი ოჯახი იყო.

ქართული ენის ეკოლოგია, მისი სიწმინდის გუშაგობა ერთდროულად აბრამ მამისთვალოვის სამსახურიც იყო და ცხოვრებისეული მოწოდებაც. „საბჭოთა ოსეთის" (დღეს რა უაზროდ ჟღერს ორივე ეს სიტყვა!) ბრწყინვალე სტილისტის შესახებ დედაქალაქშიც კარგად იცოდნენ და ამიტომაც იყო, რომ აბრამს ხშირად იწვევდნენ რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებში, მაგრამ ცხინვალში დაბადებულსა და გაზრდილს, ქართლის ამ კუთხის შვილს, არ ეთმობოდა იქაურობა და თბილისში საცხოვრებლად და სამუშაოდ გადასვლაზე უარს ამბობდა. მეტიც: როცა სამოცდაათიან წლებში აბრამის მთელი სისხლი და ხორცი აიყარა და თავის ისტორიულ სამშობლოში, ისრაელში გადასახლდა, იგი მტკივნეულად და მწარედ განიცდიდა ქართულ მიწასთან მოსალოდნელ განშორებას.

ახლა აბრამი ისრაელში ცხოვრობს, მაგრამ საქართველოსთან, ქართულ სიტყვასთან ძველებურად, ორგანულად დაკავშირებულია ებრაელი კაცი, ქართულენოვანი მწერალი ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს საქართველოსა და ისრაელის სახელმწიფოებს შორის მჭიდრო მეგობრული ურთიერთობის ყოველმხრივ განმტკიცებისათვის. ამ საქმეში მისი, როგორც მწერლისა და ჟურნალისტის ამაგი და ღვაწლი ჭეშმარიტად დასაფასებელია.

ამ ექვსი წლის წინათ ისრაელიდან მეგობარი — დავით კრიხელი მესტუმრა. ცხინვალში ერთად ვმოღვაწეობდით. მე — საოლქო გაზეთში, ის — ცხინვალის ავტობუსების შემკეთებელი ქარხნის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე. ქარხნის დირექტორი იყო რობერტ ნიკურაძე, მშვენიერი გარეგნობის, შესაშური ორგანიზატორული და საქმიანი თვისებებით დაჯილდოებული ახალგაზრდა კაცი. ჯერ ამ თანამდებობაზე, ხოლო შემდეგ ქალაქის ერთ-ერთი ხელმძღვანელის პოსტზე მუშაობის დროს მან დიდი ამაგი დასდო ოლქის მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარებასა და განმტკიცებას. თუ როგორი პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობდა იგი ქალაქში, თავად აბრამ მამისთვალოვიც დამიდასტურებს.

ერთხელ, საპირველმაისო დემონსტრაციის დროს, თეატრის წინ, სკვერთან მდგარმა აბრამმა ხელით მანიშნა, გაიხედეო. მეც დემონსტრანტთა კოლონებისაკენ გავიხედე. მოდიოდა ავტობუსების შემკეთებელი ქარხნის მშრომელთა კოლონა, მოჰქონდათ ფართოდ გაშლილი ტრანსპარანტი, რომელზეც რუსულად მსხვილი ასოებით გამოეყვანათ: „გაუმარჯოს რობერტ ნიკურაძეს!" ავტოშემკეთებელთა კოლექტივის ყოფილი თავკაცის მიმართ გამოხატული ეს სიყვარული თავად ადრესატს უსიამოვნებად დაუჯდა: საოლქო კომიტეტში უსაყვედურეს „საბჭოთა ხელმძღვანელის ეთიკური ნორმების შელახვის გამო", თუმცა იგი ქარხნიდან დიდი ხნის წამოსული იყო... ტრანსპარანტის ავტორები აღმოჩნდნენ ავტობუსების შემკეთებელი ქარხნის მექანიკური საამქროს უფროსი ქორა მამიევი და ტექნიკური განყოფილების ინჟინერ-კონსტრუქტორი ვახტანგ გაგიევი.

აბრამ მამისთვალოვი
სიკვდილის აჩრდილი
გამომცემლობა მუქურა

საქართველოში ჩამოსვლისთანავე დავით კრიხელი ცხინვალს ეწვია, მშობლებისა და ნათესავების საფლავები მოინახულა. შემდეგ თბილისში, ვაკის სასაფლაოზე გავედით და რობერტ ნიკურაძის საფლავზე ყვავილები მივიტანეთ (იგი ორმოცდაათისაც არ იყო, ამ ქვეყნიდან რომ წავიდა). შემდეგ უკვე, ჩემთან, სახლში, დიდხანს ვსაუბრობდით ცხინვალსა და ცხინვალელებზე, ისრაელში წასულ ჩვენს მეგობრებზე, დავითმა აბრამ მამისთვალოვისაგან ამანათი გადმომცა, მასში აღმოჩნდა მწერლის რომანი „სიკვდილის აჩრდილი" (თელ-ავივი, 1987 წ. გამომცემლობა „მუქურა").

რამდენადაც ვიცი, ეს აბრამ მამისთვალოვის მეორე რომანია, პირველი — „ხლართები" — ცხინვალში, ისრაელში გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე დასტამბა. წიგნმა მაშინვე მიიქცია მკითხველი საზოგადოებრიობის ყურადღება და დახლებიდანაც მალე გაქრა. რომანში საინტერესოდ არის აღწერილი ქართველ ებრაელთა ყოფა-ცხოვრება. სამწუხაროდ, წიგნი ჩემმა გორელმა ებრაელმა მეგობრებმა „დამიკარგეს", ისე, რომ მასზე მცირე რეცენზიის დაწერაც ვერ მოვასწარით. იგივე ბედი ეწია „სიკვდილის აჩრდილსაც", „ორი დღით" წაიღეს და... ჯერაც არ დაუბრუნებიათ. ამ დღეებში ავტორმა თელ-ავივიდან ახალგაზრდა გორელი ინჟინრის ზურაბ ათანელიშვილის ხელით კვლავ მომაწოდა „სიკვდილის აჩრდილი".

საინტერესო რომანია, მოქმედება 70-იანი წლების ცხინვალის ფონზე იშლება, რომანის გმირებიც — ებრაელები, ქართველები, ოსები, სომხები — ამ ქალაქის მკვიდრნი არიან. მაშინ, რა თქმა უნდა, არ არსებობდა „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა". და მაინც ეს ხელს არ უშლიდათ მათ გვერდი-გვერდ, თანხმობითა და მშვიდობით ეცხოვრათ. რომანის გმირები ჩვეულებრივი ადამიანები არიან და არაფერი ადამიანური მათთვის უცხო არ არის. რომანი რამდენადმე ავტობიოგრაფიულია, დოკუმენტურია და მის ფურცლებზე აბრამის ცხინვალელი მეგობრები იოლად იცნობენ თავის თავს.

გულდასაწყვეტია, რომ მწერლის ამ წიგნმა საქართველოში მასობრივ მკითხველამდე ვერ ჩამოაღწია. ორ ათეულამდე ეგზემპლარი, რომელიც ავტორმა თავის მეგობრებს საქართველოში გამოუგზავნა, ბუნებრივია, ვერ შექმნის მასზე მკითხველი საზოგადოებრიობის აზრს.

რაზე მუშაობს ამჟამად ისრაელელი ქართულენოვანი მწერალი?

ლექსების მორიგ კრებულზე, წერს ახალ რომანს, გამოსაცემად ამზადებს „ქართულ-ებრაულ შესატყვისებს".

საოცარია: ზოგს ერთი სამშობლო აქვს და იმასაც არ არგია. აბრამ მამისთვალოვი — პოეტი და მწერალი, თავის ორივე სამშობლოს თანაბარი სიყვარულით ემსახურება, ქართულ-ებრაული უღელი ადგას და ერთგულად ეწევა ორი ხალხის ძმობის ჭაპანს.

ბარაქალა და შალომ შენს გარჯას, ბატონო აბრამ!

გურამ ვაშაკიძე,
„სრ" საკუთარი კორესპონდენტი.

მამა-შვილის გულით ნათქვამი...

„დაუვიწყარი სახეების და დღეების ტვიფარი" — ასე ეწოდება მწერალ ნუგზარ წერეთლის ახალ წიგნს, რომელიც საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-საგანმანათლებლო საზოგადოება „ცოდნამ" გამოსცა.

მწერლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ წიგნმა თითქმის სულზე მიუსწრო ჩვენს დროში სიკეთესა და სიყვარულს დანატრებულ მკითხველს. ჭეშმარიტი ადამიანური სითბოთი, ოსტატურად აღწერს ავტორი განვლილი ათწლეულების თბილისურ გარემოს, იმ განუმეორებელ ხიბლს, რომელიც ახასიათებდა საქართველოს დედაქალაქს და მის მკვიდრთ. ეს იყო ქართული სიკეთე, კაცობა, მეგობრობა, უმაღლესი ზნეობა, ულალატობა.

მკითხველი წიგნში გაეცნობა მრავალი სამაგალითო ქართველის სახეებს, — მოგონებებს გურამ რჩეულიშვილის, ნოდარ დუმბაძის, ეთერ რაზიკაშვილისა და სხვათა შესახებ, საინტერესოდაა მოთხრობილი უცხოეთის ქვეყნებში მოგზაურობის შთაბეჭდილებები, რაც ქართული მწერლობის, ხელოვნების, კულტურის საკითხებთანაა დაკავშირებული.

ამ წიგნის ავტორის მამა გახლდათ გენიალური პოეტის მოსახელე, თავად შესანიშნავი ფილოლოგი და დიდად პატრიოტი პიროვნება აკაკი წერეთელი, რომელიც ლექსებსაც წერდა. ეს ლექსები, სხვადასხვა დროს, იბეჭდებოდა კიდეც ლიტერატურულ პრესაში, მაგრამ ცალკე წიგნად არ გამოცემულა, და აი, შვილმა ითავა მამის ლექსების გამოცემა.

აკაკი წერეთლის ლექსთა კრებულს „გოლგოთის გზაზე სიკეთისკენ", იმედია, ინტერესით გაეცნობიან პოეზიის მოყვარულნი.

კუკური ვეშაპიძე.

რეცენზიის მაგიერ

რატომ არ გვეპრას-გვეტარხუნ-გვეპიტნავება?!.

ამას წინათ ერთმა ნაცნობმა სარეცენზიოდ წლეულს გამოცემული „მიწათმოქმედის ასტროლოგიური კალენდარი" გადმომცა. აბა, რომელი მიწათმოქმედი ან ასტროლოგი ვარ, კალენდრის ავკარგი საფუძვლიანად გავაანალიზო-მეთქი, ვიფიქრე და ვიდრე (აღფრთოვანებული ნაცნობის საამებლად) ავტორის მისამართით ორიოდ თბილ სიტყვას „დავეგმავდი", კალენდრის კითხვას შევუდექი...

ჰოი, საოცრებავ! ნუთუ ამ დიდებული ბროშურის ავტორის დიდებულ გვარს არანაირი ტიტული არ ამშვენებს? როგორ ვიფიქრებდი, ამ ღრმა მეცნიერული კვლევის საფუძველზე შექმნილი კალენდრის ავტორი აკადემიკოსი თუ არა, წევრ-კორესპონდენტი მაინც არ იქნებოდა? .

ისე შორს გამიტაცა დურმიშხან ყიფიანის ბროშურამ, რომ გერმანელ მარია და მათიას ტუნებთანაც კი მიმიყვანა. „პაპავ, გიყვარდა გუთანი, დაჰკე და იღილინეო" — ისეთ „გემრიელ ლუკმას" მიაჩეჩებ, უკეთესს რომ ვერ ინატრებ „წერის ტანილი" კაცი.

მართალია, ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯება, მაგრამ ნაჩუქარი ბროშურის ავტორს საკუთარი „კბილი" რატომ არ შეიძლება გავუსინჯო?

„გერმანელი მეცნიერების მარია და მათიას ტუნების პლანეტათა განლაგების საფუძველზე დამუშავებული და შედგენილი „თესვის დღეების კალენდარი", რომელსაც ორმოცი წლის ისტორია აქვს, ყოველწლიურად ითარგმნება და თითქმის მთელ მსოფლიოში პრაქტიკულად გამოიყენება. იგი ყოველგვარი შხამქიმიკატებისა და მინერალური სასუქების გამოუყენებლად მოსავლიანობის გაზრდის საშუალებას იძლევა, ეფექტიანია აგრეთვე მეფუტკრეობაში, მეყვავილეობასა და მეტყევეობაში და ა. შ.

იგი გერმანულიდან ქართულ ენაზე პირველად თარგმნა მიხეილ ბეროშვილმა და 1991 წელს ბროშურის სახით გამომცემლობა „ლომისმა" დასტამბა, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია. ამიტომაც ვცდილობდით შემდგომი წლების კალენდრის გამოცემა გაგრძელებულიყო იმ გაპარული შეცდომების გათვალისწინებით, რაც პირველ გამოცემას ახლდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა". — წლეულს, 25 მარტს, გაზეთ „დრონის" ფურცლებზე გამოქვეყნებული დავით მორგოშიასა და იაკობ თოდუას ეს წერილი, გულდასმით წავიკითხე და ზემოთ დასახელებული ბროშურა მოვიძიე.

...წერა-კითხვის მცოდნე მიწათმოქმედი ვარ, ვუკირკიტებ ტუნების კალენდარს და დურმიშხან ყიფიანის ბროშურასაც.

„1 აპრილს არასასურველია თესვა, რგვა, რაიმე კულტურების მოვლა, რადგან ამ დილიდან პლანეტათა არახელსაყრელი განლაგებაა და დედამიწაზე არ მოდის მცენარისათვის საჭირო იმპულსები". — მრავალგზის პრაქტიკული საქმიანობით დადასტურებულ გამოცდილებას მთელ მსოფლიოს უზიარებენ გერმანელი მეცნიერები.

„თესე ხახვი, პრასი, ბოლოკი, თალგამი" — მირჩევს ყიფიანი. აშკარად ქართული ხუმრობაა. ბოსტანში გამიტყუებს ჩემი მრჩეველი და მერე ნიშნისმოგებით მეტყვის — დღის პირველი აპრილია!

4, 5, 6 აპრილს ტუნები მირჩევენ დავთესო კარტოფილი, ხახვი, სტაფილო, დავრგო ან დავთესო ყვავილები, ყვავილოვანი კულტურები. დურმიშხან ყიფიანი კი კატეგორიულად მიკრძალავს ყოველგვარი სამუშაოს შესრულებას.

„11 აპრილს სასურველია დათესოთ ან მოუაროთ 18 საათამდე ფოთლოვან კულტურებს, 19 საათიდან — ნაყოფის მცენარეებს". — მრავალწლიან ცდებს ეფუძნება გერმანელ მეცნიერთა ეს რჩევაც.

„არ დათესო, არ დარგო, არ ამყნო!" — იმავე დღის მკლავდაკაპიწებულ, ბაღ-ბოსტანში სამუშაოდ საღერღელაშლილს მკაცრად მაფრთხილებს ყიფიანი.

ცნობისმოყვარეობა მკლავს: როცა გერმანელებს ეპრას-ეპიტნ-ეტარხუნებათ, ჩვენ რატომ არ გვეპრას-გვეპიტნ-გვეტარხუნება? ნეტავ, ჩვენთან სხვა მთვარე ხომ არ ანათებს, ან მზის სისტემის პლანეტები ჩვენკენ სხვაგვარ იმპულსებს ხომ არ გზავნიან?

რა ვქნა, რომელს დავუჯერო, ცნობილ გერმანელ მეცნიერებს, ვისიც მთელ მსოფლიოს სჯერა, თუ უცნობ დურმიშხან ყიფიანს?

ავტორ-შემდგენელი მიწათმოქმედის გაორებასა და დაბნეულობას თავიდან აიცილებდა, შესავალში თავმდაბლობა რომ არ გამოეჩინა — თავის მეცნიერულ ღვაწლსა და პრაქტიკულ საქმიანობაზე (თუ კი მასზეა დაფუძნებული ბროშურა) საუბრისაგან თავი რომ არ შეეკავებინა.

საცდელი ნაკვეთისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ცხადზე უცხადესია, საწერ მაგიდასთან დიდი შრომა გაუწევია შემდგენელს და არა ავტორს, როგორც დ. ყიფიანი თავის თავს უწოდებს. ავტორი შემქმნელს ნიშნავს, ბატონ დურმიშხანს კი ამ კალენდრის შემქმნელად ვერა და ვერ ჩავთვლით, და აი, რატომ:

მეცნიერთა უმრავლესობა „კარგა ხანია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მთვარე თავის ორბიტაზე 27-დღიანი სრბოლისას გვერდით ჩაუვლის თორმეტივე ზოდიაქოს რეგიონებს და დედამიწისთვის იმ ძალების გადაცემას შუამავლობს, რომლებიც ოთხ კლასიკურ სტიქიის — წყალს, ცეცხლს, მიწასა და ჰაერს შეესატყვისება. ზემოაღნიშნული ძალები რომ ზემოქმედებას ახდენენ მცენარის განაყოფიერებაზე, მის ოთხ ორგანულ სფეროში: ფოთოლზე, ნაყოფზე, ფესვსა და ყვავილზე (მათ შორის ფუტკრის ნაყარზეც), მარია და მათიას ტუნებმა ასტრონომებთან ერთად ხანგრძლივი მუშაობით თავიანთ საცდელ ნაკვეთზე მრავალწლიანი ცდებით დაადგინეს. ის კი მსოფლიო მეცნიერებაში უდიდესი სიახლეა.

თუ „მიწათმოქმედის ასტროლოგიური კალენდრის" შემდგენელს პრეტენზია არა აქვს ამ აღმოჩენაზე, რატომ არ მიუთითებს ყველა წყაროს, რითაც იხელმძღვანელა? ვთქვათ ეს „უმნიშვნელო დეტალი" გამორჩა, მაგრამ უმთავრესიც რომ დავიწყებია?!..

რაც მართალია, მართალია, ტუნების აღმოჩენის „გადმომღერებისას" ყალბი ტონები არ შეინიშნება, მაგრამ მთვარის მოძრაობა და მისი გავლენა დედამიწაზე (სხვა წყაროების გამოყენების გამო), ამ მეცნიერულ სიახლეს ვერ „შეუხმატკბილა", რამაც დისონანსი გამოიწვია.

დიახ, კალენდრების სხვადასხვაობა საცდელ ნაკვეთში მრავალწლიან დაკვირვებებზე კი არა, მაგიდასთან ბატონი დურმიშხანის დიდ გულმოდგინებაზე მეტყველებს...

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს „მიწათმოქმედის ასტროლოგიური კალენდრის" ღირსება. ტუნებისეულისაგან განსხვავებით, მართალია, არასწორია, მაგრამ საკმაოდ მარტივი და გასაგებია, რითაც აიხსნება მისი პოპულარობა და რეალიზატორთა წარმატება. თუმცა, დღეს არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში ზოდიაქოებს ასე მარტივად, სახელებით აღარ აღნიშნავენ და, ალბათ, დროა ჩვენც დავამკვიდროთ საერთაშორისო გრაფიკული ნიშნები.

თვალისმომჭრელია ბროშურის პირველსავე გვერდზე შემდგენლის მკაცრი გაფრთხილება: „კალენდარში მოცემული ტექსტებისა და ცხრილების გამოქვეყნება, ან მათი ასლების გამრავლება საავტორო უფლების თანახმად, აკრძალულია ავტორ-შემდგენლის წერილობითი თანხმობის გარეშე".

დახეთ, როგორ ხაზგასმით აღნიშნავს თავის საავტორო უფლებებს, მაშ, მარია და მათიას ტუნებმა რაღა თქვან?..

...ნაჩუქარ ცხენს კბილი მართლაც არ გაესინჯება, მაგრამ ნაჩუქარი კალენდრის „ავტორს", რომელსაც შეცდომაში შეჰყავს ქართველი გლეხკაცი, აუცილებლად „კბილიც" უნდა გაუკრათ და მუჯლუგუნიც, რომ მისმა მეტისმეტმა „გამბედაობამ" თავს ლაფი არ დაგვასხას, საერთაშორისო სასამართლოში არ „გვაძუნძულოს" და იმ კეთილ საქმესაც არ ავნოს, რასაც მარია და მათიას ტუნებმა მრავალი ათეული წელიწადი მოანდომეს. და რისთვისაც თვით დურმიშხან ყიფიანი გაისარჯა...

ლეილა კოშკაძე.

ჩემპიონთა აღმზრდელი

გურამ პაპიტაშვილის სახელი სპორტულ სამყაროში ერთობ პოპულარულია, თუმცა მის სპორტულ ბიოგრაფიას არ ამშვენებს მაღალი სინჯის მედლები და ჩემპიონის ტიტულები. მან უპირველესად სახელი გაითქვა, როგორც მოჭიდავეთა მთელი თაობის აღმზრდელმა და ამაგდარმა, ძიუდოს ქართული სკოლის ერთ-ერთმა მესაძირკვლემ — გურამის აღზრდილთა შორის 100-ზე მეტი ოსტატი, ყოფილი საბჭოთა კავშირის, ევროპის, ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონია...

აღზრდილები და აღსაზრდელები, გორის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები შეიკრიბნენ გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრში, რათა თავიანთი პატივისცემა და სიყვარული გამოეხატათ იმ კაცისთვის, რომელიც 40 წელიწადია ერთგულად მუშაობს ქართულ სპორტში და რომელსაც ამ დღეებში დაბადების 60 წელიწადი შეუსრულდა.

იუბილარს მიესალმნენ მისი აღზრდილი ფალავნები, აგრეთვე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ნონა გაფრინდაშვილი.

გურამ პავლიაშვილი.

სპორტი

ჭადრაკი

დედაქალაქის ჭადრაკის სასახლეში დაიწყო ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი. ასპარეზობის 14 მონაწილე გაითამაშებს მსოფლიო ჩემპიონატის ზონალური ტურნირის 5 საგზურს.

სტარტზე პირველი გამარჯვებები მოიპოვეს გიორგი ყაჭეიშვილმა, თამაზ ტაბატაძემ, ხვიჩა სუპატაშვილმა და გიორგი ბაგათუროვმა.

კალათბურთი

ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ექვსეულის პირველი ტურის მთავარ შეხვედრას — „ვითა" — „თბილისი" სპორტის სასახლეში ხუთი ათასამდე მაყურებელი დაესწრო.

მათი მოლოდინი, — ეხილათ დაძაბული ბრძოლა — სამწუხაროდ, არ გამართლდა. ქვეყნის ჩემპიონის „ვითას" უპირატესობა აშკარა იყო — 105:81.

იმავე დღის „კუტაისმა" სძლია „აზოტს" — 108:88; ხოლო „დინამომ" — „თორის" — 85:76.

ჰოკეი

ჰოკეის სამშობლომ კანადამ 33-წლიანი შესვენების შემდეგ დაიბრუნა მსოფლიო ჩემპიონის წოდება. „ნეკერჩხლის ფოთლებმა" ფინალში საჯარიმო ტყორცნების — ბულიტების მეორე სერიაში დაამარცხეს ფინელები 4:3 (ძირითადი დრო — 1:1). ოლიმპიურ ჩემპიონებს — შვედებს ბრინჯაოს მედლები გადაეცათ.

ხსოვნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ შუკაკიძე

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ყოფილი საავტომობილო გზების მინისტრის პირველი მოადგილე, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, საპატიო მეგზევე, ღვაწლმოსილი მუშაკი ოთარ ილიას ძე შუკაკიძე.

1952 წელს ამიერკავკასიის რკინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო საკავშირო საგზაო-საპროექტო ინსტიტუტ „სოიუზდორპროექტში", 1957 წლიდან კი — საქართველოს საავტომობილო გზების უწყებაში, სადაც განვლო გზა ინჟინრიდან მინისტრის პირველ მოადგილემდე.

ოთარ შუკაკიძე იყო მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომლის პროექტებითა და უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელდა რიგი საგზაო ობიექტების მშენებლობა.

დაუღალავი და ერთგული ხელმძღვანელი, იგი ყოველთვის გულისხმიერი იყო — დიდთან და პატარასთან, უყვარდა საქმის ოპერატიული გადაწყვეტა, ახალგაზრდა ინჟინრებს ეხმარებოდა სპეციალობის დაუფლებაში, ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას, მისი თავდადებული შრომა არაერთხელ აღინიშნულა სახელმწიფო ჯილდოებით.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებულმა გარემოებამ ოთარ შუკაკიძე მძიმე ავადმყოფობით 17 წელიწადს მიაჯაჭვა სარეცელს, ამის მიუხედავად, მას საავტომობილო გზების კოლექტივთან არ გაუწყვეტია კავშირი, წლების განმავლობაში თანამშრომლობდა ინსტიტუტ „საქგზამეცნიერებასთან".

კონცერნ „საქავტოგზის" კოლექტივი და ყველა, ვინც მას იცნობდა, ეთხოვება და თავის უკანასკნელ გზაზე მიაცილებს დაფასებულ, სპეტაკ, ულალატო, საყვარელ პიროვნებას ოთარ შუკაკიძეს.

მისი ნათელი ხსოვნა და მოგონება დიდხანს დარჩება ჩვენს შორის.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონცერნი „საქავტოგზა"; პროფკავშირის დარგობრივი რესპუბლიკური კომიტეტი; ვეტერან მეგზევეთა საზოგადოება.

ლევან მამრიკიშვილი

ქართველმა მშენებლებმა დიდი დანაკლისი განიცადეს — გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, არქიტექტურისა და მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის კონცერნ „საქსოფმშენის" საწარმოო გაერთიანება „საქსოფმშენდეტალის" გენერალური დირექტორი ლევან კონსტანტინეს ძე მამრიკიშვილი.

დაიბადა 1927 წელს თერჯოლის რაიონის სოფელ ჩხარში. 1951 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი მეტყევე ინჟინრის სპეციალობით, რის შემდეგ შრომის სახელოვანი გზა განვლო. დიდი ღვაწლი მიუძღვის რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობაში, რომელთა მნიშვნელოვანი ობიექტების ძირითადი ნაწილი მის დაქვემდებარებულ საწარმოო გაერთიანებაში დამზადებული ნაწარმით არის დაკომპლექტებული.

სასოფლო მშენებლობის სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის პერიოდში თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა, პრინციპულმა და ნოვატორმა სპეციალისტმა, რითაც სამართლიანად დაიმსახურა რესპუბლიკის ხელმძღვანელობის და შრომითი კოლექტივების ღრმა პატივისცემა და სიყვარული.

ღირსეული მოქალაქის, საუკეთესო მამულიშვილის, სამშობლოზე და ოჯახზე უსაზღვროდ შეყვარებული ბატონ ლევან მამრიკიშვილის ნათელი ხსოვნა სამარადისოდ დარჩება ჩვენს გულში.

რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტი; კონცერნი „საქსოფმშენი"; რესპუბლიკური გაერთიანება „საქქალაქმშენი"; კონცერნ „საქსოფმშენის" საწარმოო გაერთიანება „საქსოფმშენდეტალი".

საწარმოო-სამეცნიერო გაერთიანება „საქფრინველმრეწვის" კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს შესანიშნავი პიროვნების, თავისი საქმის ჭეშმარიტი პროფესიონალის, დამსახურებული ზოოტექნიკოსის, წყალტუბოს რაიონის მეფრინველეობის ფაბრიკის ყოფილი დირექტორის

შოთა ბიჭიას ძე ლალიაშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს მისი ოჯახის წევრებს.

თბილისის ფოსტამტის ადმინისტრაცია სამსახურში იწვევს ფოსტალიონებს. ფოსტალიონის საშუალო თვიური ხელფასი შეადგენს 1 მილიონ კუპონს. ფოსტალიონებს უფასოდ მიეცემათ ფორმის ტანსაცმელი და ფეხსაცმელი.

დამატებითი ცნობების მისაღებად მიმართეთ თბილისის ფოსტამტის ადმინისტრაციას. ტელეფონი: 95-68-00, 95-65-90.

ფირმა «PrintShop»

თბილისი.
გირსალაძის ქ. 8
ტელ.: 998696,
997712.



უახლესი ჰოლანდიური ტექნოლოგიით!
უმოკლეს დროში!
დაგიმზადებთ უმაღლესი ხარისხის ბეჭდებსა და შტამპებს
სავიზიტო ბარათებს, ბლანკებსა
და ფასიან ქაღალდებს
PS L.T.D

კომპიუტერული სკოლა შეგასწავლით
კომპიუტერზე მუშაობას.
დაგეხმარებით კომპიუტერული ტექნიკის
გაყიდვასა და შეძენაში.

ფალიაშვილის 42 (57-ე სკოლა)
12-17 სთ.
ტელ: 29-11-78.

გთავაზობთ

უნაღდო ანგარიშსწორებით ნებისმიერი ფორმატის
საწერ, საბეჭდ, ქსეროქსისა და პრინტერის
ქაღალდს ადგილზე მიწოდებით.

38-91-64

ყურადღება!

ორგანიზაცია შეისყიდის
ძველებურ ხელით ნაქსოვ ხალიჩებს.

მისამართი: სასტუმრო «აჭარა», ოთახი № 106.
ტელ: 98-53-59, 36-92-36.

მთავარი რედაქტორი გურამ ბოგიაშვილი.
შეკვეთა [illegible]